ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სამშობლო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ორგანო.

---

## "LA PATRIE"

L'organe du parti national démocrate géorgien

---

6-479

N° 7

1930 წ. მაისი. პარიზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სამშობლო

## "LA PATRIE"

პარიზი. მაისი. 1930 | N° 7 | Paris, Mai 1930

U-479

## 26 მაისი.

26 მაისი გაგვითენდა, დღე ბრწყინყალე, დღე სიხარულის

პირველად ის მოგვევლინა, ვით ღიმილი სასიკვდილოსარეცელზედ მწოლარე სნეულს, ღიმილი სიკვდილის დამარცხების, სიცოცხლის გამარჯვების.

მეორე გაგვითენდა ჯერ კიდევ სხეულით სუსტებს, მაგრამ სულიაღ დგენილთა და განკურნებულთ.

მესამე გაგვითენდა ფეხზედ დამდგართ, გამთელებულთა, თავის ღირსებას დაბრუნებულთ, დაიმედებულთ, გაამაყებულთ.

შემდეგ კვლავ ერთი, კვლავ მეორე და დღეს მეათე ის გვევლინება ვით მზის შუქი ციხის საკანეს.

ეს მაისია უკვე მონობის, ხუნდებ გაყრილი მაისია ჩვენი ერისთვის მაგრამ ის გვიღირს უფრო მეტად, ვინემ პირველი თუ მეორე და თვით მესამე. ის ბრძოლის დღეა, საპყრობილის, დევნის, განდევნის, ის წმინდა დღეა მამულისათვის თავის დადების.

დღეს აიშლება ჩვენს წინაშე დროთა დენანი, საუკუნეთა მდინარება დაულეველი. დღეს მოვიგონებთ მრავალ ბრძოლებს, მრავალ დარბევას, მრავალსა მარცხსა და გამარჯვებას. რამდენი იყო შემოსევა, მონობის წლები, მაგრამ მუდმივი მასთან ბრძოლა დაუცხრომელი, კვლავ აღადგენდა წაქცეულსა ერის ღირსებას და უბრუნებდა დაკარგულსა თავისუფლებას.

ეს გვაგონდება და სუსტ სხეულში გული დაიწყებს მტკიცედ ცემას, წარსულთა განცდა და მოგონება ჩვენ მწარე აწმყოს გაგვიადვილებს ჩვენი თაობაც არ უღალატებს წარსულის ანდერძს და ბედის ნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ათი მაისი ბრძოლით მიიღო და კვლავ მოელის ახალსა ბრძოლებს.
დღეს ჩვენი ერი მათ მოიგონებს, ვინც მაისისთვის თავი გასწირა.

ვინც თვისი სისხლით განასპეტაკა მუნ შებღალული ერის ღირსება
დაღუპულთ ეტყვის შესანდობარსა, ცოცხლებს უსურვებს ის გამარჯვებას.

დღეს ჩვენ მასთან ვართ, როგორც მარადის, მშობელი ერი გვიგონებს ჩვენა,
ხორცით დავშორდით, სულით აროდეს, ერთი გვაქვს ჭირი ერთი გვაქვს ლხენა.

და ეს მაისიც ერთ იმედს გვიძრავს, ერთი იმედი გვიღვივის გულში,
რომ ახალ მაისს ჩვენ გადავიხდით თავისუფალსა ჩვენსა მამულში.

---

## პოლიტიკური დალალები ემიგრაციაში.

თავისუფალი და დამოუკიდებელი ქართული პრესა დღეს მხოლოდ ემიგრაციაში ღა არსებობს. იქ საქართველოში ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ რა სლკივა ქართველ ერს ან რა უნდა მას, ლაპარაკი აღკრძალულია. ეს არის მიზეზი, რომ ქართულ ემიგრანტულ პრესას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ნამდვილი ქართული აზრის გამოთქმა, ქართველი ერის გულისნადების გამომჟღავნება, აშკარად და მიუდგომლად, მხოლოდ აქ შეგვიძლიან. ასეთი ვითარება თავის და თავად ჰგულისხმობს, რომ ქართული ემიგრანტული პრესა ერთი მთავარი ქართული აზრის გარშემო უნდა იყოს დარაზმული. მაგრამ როცა ეს ერთობა არ არის, ან ამ ერთობის ნაცვლად სხვა ცუღლუტობას გვაჩეჩებენ ხელში, მაშინ ამ ცუღლუტ ერთობას ცალკე განდგომილი სიმართლე სჯობიან და ესეც იმავე ქართულმა ემიგრანტულმა პრესამ უნდა აღნიშნოს.

ამ საგანს ემსახურება ჟურნალი «სამშობლოც» და ასე ესმის თავისი ქართული მოვალეობა. მაგრამ ასე არ ესმის სამწუხაროთ თავისი მოვალეობა ყველა ქართულ გამოცემას ემიგრაციაში და ხელს აფარებს იმას რისი მხილებაც მისი უწმინდესი დანიშნულება უნდა იყოს. ამ მოვლენის აღნიშვნა ჩვენ სავალდებულოდ მიგვაჩნია. ამაზედ მითითება სადღეისოდაც სასარგებლოა, რათა ასეთმა ქართულმა გაზეთმა თავისი ადგილი იცოდეს და სამერმისოდაც, როცა ქართული ემიგრაციის ისტორია დაიწერება

ქართულ ემიგრანტულ გაზეთებს შორის არიან ისეთი გაზეთები, რომლებიც პოლიტიკური აზრის, ამ აზრის სხვადასხვაობისა და მისგამოწვარმო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ებულ დავის ნიადაგზედ სდგანან. ამას პოლიტიკური დარაზმვა ჰქვიან. თუ ქართული ემიგრაციაა, როგორც პოლიტიკური მოვლენის შედეგი, დღევანდელი ქართული ცხოვრების გამონაყოფია, შეუძლებელია აზრისა და შეხედულობის ამ სხვადასხვაობას აქაც ისევე არა ჰქონდეს ადგილი, როგორც იქ, ქართულ სინამდვილეში.

მაგალითად ის კამათი, რომელიც დღეს მენშევიზმის შესახებ ემიგრაციაში სწარმოებს, ანარეკლია საქართველოში იმ თვალსაჩინოდ მომწიფებულის შეხედულობისა, რომ მენშევიზმი საქართველოს ნიადაგიდგან ენდა გადადგეს. მენშევიზმი როგორც წარსულის ნაშთი, მენშევიზმი როგორც დამარცხებული რევოლუციონური დოქტრინა, მენშევიზმი როგორც სახელმწიფო აღმშენებლობა და მენშევიზმი როგორც ერის წინამძღოლობა სამუდამოთ ისტორიას უნდა ჩაბარდეს. ბოლშევიზმის განდევნა რომ თავზედ ისევ მენშევიზმი წამოვისვათ,, ის პოლიტიკური რეგვენობა იქნებოდა, რომლის კბილი ქართველმა ერმა უკვე 1921 წელს მოსჭრა. ამიტომ ის ემიგრანტული პრესა, რომელიც დღეს ამ დებულებებს დაიცავს —ჩვენი დროის ღვიძლი შვილია. ის მიმდინარე ცხოვრების კალაპოტში სდგას. მისი დანიშნულება საამდროვოა, მისი აზრი პროგრესიულია. რეგრესიული და რეაქციონური დღეს მხოლოდ მენშევიზმია. ის ძველის განმეორებაა და ახალის აღკრძალვა.

პასუხის გამცემიც ამ დავაში თითონ მენშევიზმი უნდა იყოს. წყალ-წაღებული და ხავს-ჩაკ(დებული მენშევიზმიც რომ თავის დასაცავად ამ დავაში დიდ ყვირილს გააბამს, ბევრს გაუგონარს იტ(ყვის და ბევრს შეუსმენელს იკადრებს—ესეც ბუნებრივია. აგონიის კანონი ყველა მომაკვდავ(სათვის ერთია და მენშევიზმიც არაფერია თვინიერ ასეთი მომაკვდავი არსებისა.

ასეთ მის აგონიას უნდა მივაწეროთ ისიც, რომ დღეს, მენშევიკურ-ბოლშევიკურ რევოლუციების თორმეტი წლის შემდეგ, მენშევიკები ჩვენ ისევ «თავადებს» გვეძახიან.

რა მოსაზრებით?

იმ მოსაზრებით, რომ ამ სიტყვის ძახილით და საქართველოში ძმათა შორის ომის ჩამოგდებით, ერთმანეთის აკლებით, ერთმანეთის წაგლეჯით და სისხლის ღვრით, მენშევიკებმა ერთხელ უკვე მოიპოვეს ბატონობა და ჰგონიათ, რომ ამგვარის წასისიანების და ,,ჰკა მაგათ''!-ის ძახილით, ესე იგი საქმის თავიდან დაწყებით, თავის სამარცხვინო წარსულს ისევ გააცოცხლებენ. მაგრამ მენშევიზმის აგონიის მაჩვენებელი სწორედ ეს ბოდვაა! მისი გახრწნის ნამდვილი ნიშანი სწორედ ეს პროვოკატორული ლოზუნგია. ნამდვილი ამბავი ის კი არ არის, რომ ,,თავადების'' საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში მართლა სამარცხვინო და სათაკილო იყო.... ნამდვილი ამბავი და თანაც სათაკილოცა და სამარცხვინოც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის არის, რომ ეს „თავადები" ამ დამოუკიდეალობისათვის ღაიხოცნენ, გა ზეთ „ბრძოლის ხმის" უსახელო და მიმალული თანამშრომლები კი, მადლი უფალს, დღესაც კისერ გასუქებულნი დაიარებიან, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ჩირგვიდგან იბრძვიან და არც სახვალიოდ აპირებენ სიკვდილს.

ნამდვილი ამბავი, რომელიც ისტორიაში ჩაიწერება აი ეს არის! მაგრამ, ვიმეორებთ, მენშევიკებისათვის ყოველივე ეს ბუნებრივი და კანონიერია!

არა ბუნებრივი და უკანონო ჩვენს ემიგრანტულ პრესაში სხვა რამეა. უკანონოა და თან უზნეოც, მაგალითად ის, რომ ამ წმინდა მენშევიკური გაზეთების გარდა, არიან ისეთი გაზეთებიც, რომლებსაც დამოუკიდებელი აზრი და საკუთარი პოზიცია არა აქვთ და პოლიტიკური დავის ასპარეზზედ სხვის მაჩანჩალებად გამოსულან. ემიგრანტული ქრიამულისა და ყვირილის ბირჟაზედ ეს გაზეთებიცა ჰყვირიან. ესე იგი, ჰყვირიან ესენი, თორემ ზოგი რამის ასეთის თქმას თითონ მენშევიზმიც ვერ გაბედავდა. მაგრამ ჰყვირიან არა იმიტომ, რომ ამ ბირჟაზედ თავის საკუთარ ფახეულობას ასაღებდნენ. ჰყვირიან და ხმას ერთმევენ იმისთვის, რომ სხვისი აქციები გაასაღონ, თითონ პატარა გასამრჯელო აიღონ და დანარჩენი პატრონებს მიუთვალონ. ეს დალალობაა! ასეთი გაზეთების საკუთარ მისწრაფებაზედ ლაპარაკი ზედმეტია. მათს პოლიტიკაზედ ლაპარაკი—მით უმეტესი! ეს იმ ჯურის ხალხია, რომელიც თითონ არსად არ ადის და იმითაც კმაყოფილია თუ სხვას უზურგებს. პოლიტიკა, ეროვნული ფრონტი, საქართველოს დამოუკიდებლობა მათ ჯურგზედ ის თოქალთოა, რომელზედაც სხვისი უნაგირი დგას. აქ მხედარი სხვაა, გეზიც სხვისია....

აი, ასეთი გაზეთებიც ურევია ჩვენს ემიგრანტულ პრესას და პირველობა ამათში, რა თქმა უნდა, ბ. გიორგი გვაზავას «საქართველოს» ეკუთვნის.

ბ. გიორგი გვაზავა ეროვნულ-დემოკრატია. მისი გაზეთიც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის «ორგანოს» უძახის თავის თავს. ვსთქვათ რომ აქ „გადამეტებას" ადგილი არა აქვს და ასეა. ვსთქვათ რომ ბ. გიორგი გვაზავა ისევ ეროვნულ-დემოკრატია და არა სხვისი მაჩანჩალა. ვსთქვათ ისიც რომ გაზეთი "საქართველოც", ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანოა და არა ნ. რამიშვილის საკუჭნაოში აწყობილი „საბალიაღო" გაზეთი. კიდევ ვიმეორებთ, ვსთქვათ რომ ყოველივე ასეა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც ისე წახდა, რომ მე და მთვარე ბბ. გვაზავასა და ზურაბიშვილზედ ამოსდის. მაგრამ ნუთუ მართლა ეროვნულ-დემოკრატობა მარტოოდენ ის არის, რომ ჩვენი წახდენილი მენშევიკები, არც მეტი, არც ნაკლები, დავით აღმაშენებელს დავადაროთ და რაღაი ზევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამბობდით, რომ მენშევიზმი ისტორიას უნდა ჩაბარდესო. მენშევიკებიც ამ პატივითა და დიდებით შევიყვანოთ ისტორიაში?!....

ბ. გიორგი გვაზავა გაზეთი სწორედ ამ უებრო აზრებს ქადაგებს. ეროვნულ-დემოკრატობა თურმე ესა ყოფილა! ბ. გიორგი გვაზავაც ამიტომ ყოფილა ეროვნულ-დემოკრატი და მისი „საქართველოც" ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო! სხვა აზრი? სხვა აზრი ბ. გიორგი გვაზავას აღარა აქვს! ან ნოე რამიშვილი დავით აღმაშენებელია, ან არა და თავისი თავიც გვაზავა აღარა ჰგონია.

ჭეშმარიტად რომ უბადრუკი მდგომარეობაა!

რა ვქნათ ახლა? როგორ უშველოთ ბ. გიორგი გვაზავას და როგორ გამოვიყვანოთ ამ სასაცილო ყოფიდგან? ვინც რა უნდა სთქვას, მაგრამ ბ. გიორგი გვაზავა მაინც გუშინდელი ჩვენი ამხანაგია. სწორედ ეს გარემოება გვავალებს ამ უხერხულ ყოფიდგან გამოსავალი ჩვენვე მოუძებნოთ.

სულ ეს არის ეხლა გამოვიდა ზ. ავალიშვილის ისტორიული გამოკვლევა, რომელიც სწორედ დავით აღმაშენებელს და იმ დიდ ქართულ დროს ეხება, რომლის შესატყვისი ბ. გიორგი გვაზავას დღევანდელი მენშევიზმი ჰგონია. საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ორი ოდნობის შესადარებლად ორივე ოდნობის გაზომვაა საჭირო. დეე, ბ. გვაზავამ თავისი ისტორიული შედარებისათვის ზ. ავალიშვილის წიგნშიც ჩაიხედოს და ერა ისე როგორც პოლიტიკურმა დალაომა, არამედ როგორც პატიოსანმა პუბლიცისტმა სთქვას: რა უგავს იქ მოთხრობილ შესანიშნავ დიდ-გორის ომის აღწერილობას, რომლითაც დიდებულმა დავით აღმაშენებელმა ძლიერი საქართველო მოამზადა, მენშევიკების მიერ ტფილისის ზღუდეთა დაცვას 1921 წელს როცა საქართველოს დამოუკიდებლობამ სული განუტევა?

ასეთ წინადადებას ვაძლევთ არა მარტო იმიტომ, რომ ვინც ცრუ დავით აღმაშენებლებზედ ამდენსა სწერს მან ცოტა ნამდვილ აღმაშენებელზედაც უნდა სწეროს, არამედ უფრო დიდის მოსაზრებით. ისტორია და თანაც არც ისეთი კნინი როგორც ბ. გიორგი გვაზავას ჰგონია იმიტომ კი არ აბადია ქართველ ერს რომ ჩვენი დიდი ისტორიული სახენი თანამედროვე კარიკატურებს დავადაროთ და დაუტოლოთ. არამედ იმიტომ რომ მაგალითი და ხატი დღევანდელმა ქართველობამ იქიდგან გადმოიღოს. ჩვენ ვამბობთ რომ მენშევიზმი ისტორიას უნდა ჩაბარდესო და ბ. გიორგი გვაზავამ კი მთელი ჩვენი ისტორია ამ მენშევიზმს ჩააბარა!

დაუფიქრდეს ბ. გიორგი გვაზავა ამ ეროვნულ-დემოკრატიულ განსხვავებას ჩვენ შორის!

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ყიზილბაში საბავშო ბაღში.

ერთი სულიერი რომ ხბორებში გაერევა—ხალხში სიცილს იწვევს; მგელი რომ ცხვარში შევა, თითო-ოროლას მაინც გააფუჭებს, მაგრამ რო დესაც ყიზილბაში საბავშო ბაღში მოექცევა—ეს უკვე საზოგადოებრივ გა რყვნილების შიშსა ჰბადებს და საზოგადოების მოვალეობაა სასტიკად აღ კვეთოს მისი გავლენა. მით უფრო რომ სამივე ზემოაღნიშნულ მოვლენას ადგილი აქვს ემიგრაციაში, სადაც არც საერთო საზოგადოებრივი აზრი მო ქმედობს, არც ეროვნული ზნეობა და არც სამშობლო მიწა წყალთან ურ თიერთობის ატმოსფერა. ახალგაზრდობა სცილდება რეალურ გრძნობა შე გნებას და ითვისებს ზერელე ნაცოდვილევ თეორიებს, იბნევა და ეფლობა თანდათან ზნეობაში. ამის ნიშნები მრავალი აღმოჩნდა საერთოდ ემიგრა ციაში და ნამეტნავად დაიბუდა იმ «ორგანიზაციაში», რომელსაც არავი თარი კავშირი და ძარღვი საქართველოსი არ გამოჰყოლია; შეიქმნა და გა ნაგრძობს არსებობას პარიზის ქუჩა-კაფეებში და საუბედუროდ მისი ხე ლმძღვანელობა ჩაუვარდა ხელთ ისეთ დამიანს, რომლის ავანტიურის ტული ფსიხოლოგია და ბიოგრაფია საუკეთესო თავმდებია რომ ამ «ორ განიზაციის» მოღვაწეობა თანდათან ხულიგანურ გადაგვარებაში გადასუ ლიყო.

დიდი მიხიედრილობა არ არის საჭირო ამ სურათზე იცნოთ ეგრედ წოდებული «თეთრი გიორგის» ახალგაზრდობა და მისი ხელმძღვანელი ბ. ლეო კერესელიძე, მაგრამ ქართველი ადამიანის გულჩვილობას, «ყოვლად მპატიებლობას» (თუ ითქმის ასე), რომელიც თითქმის უპრინციპობაშიგა დადის, სჭირდება ხშირად გახსენება ზოგი მ ავლენისა, მრავალი ილუსტ რაცია, რომ წამბაძველობა საერთო სენათ არ გადაექცეს. დავიწყოთ თა ვიდან.

როდესაც ამ ორიოდე წლის წინად პარიზში შეიქმნა ქართველ ახალ- გაზრდათა პატრიოტული პატარა ჯგუფი «თეთრი გიორგი», ჩვენ კმაყო ფილებით შევხვდით ამ ამბავს, რადგან ძველი არისტოკრატიისაგან ერ თის მხრით გარუსებისა და სოც-დემოკრატებისაგან მთლად გადაგვარე ბის გზაზედ შემდგარ ქართველობაში—ჩვენ ვფიქრობდით – საჭიროდ და ბუ ნებრივი იყო ეროვნული რეაქცია, თუ გინდ შოვინისტური და მემარჯვე ნე გრძნობებითაც დაფერილი.

მაგრამ ახალგაზრდული ენტუზიაზმი და პატრიოტული გრძნობები საკმარისი არ არის არა მარტო «საქართველოს გასანთავისუფლებლად», არამედ პატარა პოლიტიკურ ორგანიზაციად გადასაქცევადაც – ამისათვის საჭიროა იდეოლოგია, ორგანიზაციული წყობილება, ჯკუა და უმთავრესად პოლიტიკური მორალიც. და აი აქ მოხდა ის არა ბუნებრივი ალიანსი, ორმელიც ბუნებრივია პარიზის ქუჩებში შექმნილ და არა სამშობლო წი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ღში, საქართველოში აღმოცენებულ ორგანიზაციისათვის: ახალგაზრდათა ორგანიზაციამ მოიწვია, თუ მას თვითონ დაეპატრონა, ისეთი არა ახალ გაზრდა და «საგმირო საქმეებით» დატვირთული პიროვნება, რომელიც ბოროტად იყენებს მათ გამოუცდელობას და უსოდინარობას, თორემ საქართველოში ახლო ვინ გაეკარებოდა, სადაც მისი სიკარგე არვის უნახავს, არავის გაუგონია.

რა იდეოლოგიური ჩარჩოები უნდა მიეცა ახალგაზრდულ პატრიოტიზმისათვის იმ ვაჟბატონს, რომლის იდეოლოგია მუდამ მხოლოდ ინტრიგა, ნაცარქექაობა და ტრაბახი იყო, ჩინ მენდლობის, პიროვნების გამოფენის და სარკეში პოზების ძებნის მეტი არა იყო რა?

რა ორგანიზაციული წყობილების შექმნა შეეძლო ბუნებით ანარქისტულსა და მხოლოდ ბრძანებლობისათვის არავითარ ყალთაბანდობის წინაშე არ დამხვევ ადამიანს?

ჯუა?—ჯუა კიტრი ხომ არ არის ყოველ გაზაფხულზედ მოვიდესო, ამბობს ქართული ანდაზა და რაც შეეხება პოლიტიკურ ან ჩვეულებრივს მორალს, ამაზედ და ზემოაღნიშნულ თვისებებზედ ვიდრე დასაბუთებულ სიტყვას განვაგრძობდეთ—ჩვენ გვინდა ერთი მტკიცე და გარკვეული პასუხი მივიღოთ «თეთრი გიორგი» საგან: კისრულობს იგი თუ არა ყველა წარსულ-ბიოგრაფიულ და ა წ მ ყ ო მოქმედებათა პასუხისმგებლობას ბ. კერესელიძისას—თავის თავზედ? იმ ბ. კერესელიძისა, რომელიც ჰქმნის «თეთრ გიორგის» — «მსგავსად სახისა და ბუნებისა თვისასა»?

საზღვარ გარედ მყოფი ახალგაზრდობის ნაწილის გაბრიყვება, რომელიც არ იცნობს არც საქართველოს წარსულს ისტორიას და არც ახალს—ძალიან ადვილია, მაგრამ ჩვენა ვწუხვართ, რომ ბ. კერესელიძემ საზღაპრო ლათაიებით მოტყუებულ კეთილშობილ და პატრიოტულ ახალგაზრდობას ზეურია პირადი გემოვნებითა და «მოხერხებით» ყველა სხვა პარტიებიდან გაქცეული (კომუნისტებიდანაც კი) დაბალი ხარისხის ელემენტები და ამით შექმნა ის ამალგამა, საიდანაც გამოიყურება მარტოოდენ მ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი ავანტიურისტული სახე და მიჩქმალულია დადებითი.... თუ კი რამ მოინახება.

ჩვენ ბევრს ვეცადეთ ბ. ლეოს გონებაში ჩაგდებას, მაგრამ, ეტყობა, მართლაც «კუზიანს მარტო საფლავი გაასწორებს», როგორც ამბობს ხალხური ანდაზა.

ჯერჯერობით ჩვენ არ შევეხებით ბ. ლეოს «წარსულს», რადგან ზემოაღნიშნულ კითხვის პასუხამდე, ბ-ნ «თეთრგიორგელებს» ვერ დავაკისრებთ ამის პასუხისმგებლობას. დავიწყებთ იმ «აწმყოდან», რომლითაც ისახება თანამგზავრობა და შესისხლხორცება ბ. ლეოსი და «თეთრი გიორგისა».

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბ. ლეო კერესელიძის ჯგუფის «პირველი პოლიტიკური გამოსვლიდან»: ახალგაზრდათა ჯგუფი დაეცა თავს მოღალატე ვეშაპელის ჯგუფს კაუე «ვოლტერში», ფანჯრები დაამტვრია და ვეშაპელსა სცემა, მაგრამ, როცა სრულებით მ ა თ ს გარეშე მყოფმა კერძო პირმა ვეშაპელი მოჰკლა, ბ. ლეოს ჯგუფის სამი ახალგაზრდა*) თავგადაგლეჯილი დარბოდა ფრანგულ გაზეთების რედაქციებში და საჩქაროდ აბეჭვდინებდა: «არა, ესჩვენ არ მოგვიკლავს, ჩვენ არ დაგვაბრალოთ, ეს სულ სხვა ვიღამაც, ბოლშევიკურმა აგენტმა და პროვოკატორმა მოჰკლაო». და ამ კურდღელისებური ლაჩრობით—ჩვენც არ დაგვჭედონო, თავის პირველ აქტსაც დაუკარგეს სრულიად პოლიტიკური მნიშვნელობა და უბრალო ხულიგნურ მოვლენად გადააქცეს: on te reconnait—Leo et mus.

მაგრამ ამ ცალკე და დამახასიათებელ ინციდენტიდან რომ საერთო «პოლიტიკაზედ» გადავიდეთ, რას დავინახავთ? რამოდენიმე წლის განმავლობაში გამოდის ბ. ლეოს ჯგუფის გაზეთი და ერთ ნომერს ვერა ნახავთ რომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ლანძღვა არ იყოს შიგა—და იცათ როდის. როცა თვითონ ბ. ლეო საკუთარ «დირექტორიის» ზოგიერთ მხლებელთან ერთად იჯდა იმ ს ა ე რ თ ო კ ო მ ი ს ი ა ში, რომელსაც უნდა თ ა ნ ხ მ ო ბ ი თ გ ა ე ნ ე ლ ე ბ ი ნ ა ბრძოლა არა-სოციალისტურ ელემენტების შორის[1]). დაპირება და ხელმოწერილი დადგენილება იყო ათასი და შესრულება არც ერთი—მათის მხრიდან; მაშინ როდესაც ერდემ. . არასოდეს «ბლეოს ჯგუფზედ», «დირექტორიაზედ» და მათს უამრავ სისულელეებსა, სიცრუესა და ყალთაბანდობაზედ ხმა არ ამოუღია. გვეგონა, ქართული ანდაზისა არ იყოს: «ყბედს მუნჯი გააჩუმებსო», მაგრამ სხვა რა აქვს ქართული, ეს თვისება მაინც ჰქონოდა.

პირიქით, როდესაც ბ. ნ. ჟორდანიამ და ნ. რამიშვილმა გაგზავნეს ფარულად ყველასაგან (თავის პარტიისაგანაც კი) ცნობილი უმსგავსი და სამოქალაქო ომის მქადაგებელი წერილი, გამომქეყნებული ბოლშევიკებისაგან, და მთელი ქართული პოლიტიკური და არა პოლიტიკური საზ ა-გადოება ააჯანყეს და აამღვრიეს და ამ წერილში, სხვა პატრიოტებთან ერთად, ბ. ლეოც მონათლეს მოღალატედ და ბოლშევიკების აგენტად-ჩვენ, ერ. დემ. მაშინ «საერთო ფრონტში» მყოფმა, ყველაზედ მეტად თავი გამოვიდეთ უდანაშაულოდ გალანძღულ ხალხის დასაცავად და მათი ა მ მ ხ-რ ი ვ უმწიკვლო პატრიოტიზმის რეაბილ ტაციისათვის და მადლობა რითი გადაგვიხადა ბ. ლეომ. ცოტა დაგვიანებით: ქართულ ემიგრაციას ახსოვს ალბად ის «საპროტესტო კრება», საცა სხვებთან ერთად «ლეო კე-

*) Nomina sant odiosa.

1) ამის დამალვა საჭირო აღარ არის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რესელიძეს ჯგუფი» სამართლიან გულისწყრომას აცხადებდა პროვოკატორულ წერილების გამო, ამ ჯგუფმა რეზოლიუციაც წარმოადგინა კრებაზედ და იმუქრებოდა: ჩვენი ახალგაზრდობა აიკლებს ლეგაციასა და მთავრობას ბუნაგსაო და ჩვენ, ერ. დემ. გვიხდებოდა მათი დაშოშმინება, რა დგან მართლა შესაძლებელი გვეგონა ასეთი არა პოლიტიკური სიფიცხე ახალგაზრდობისაგან. ოფიციალურადაც კი განვაცხადეთ ასეთ საშიშროებაზედ და ჩვეულებრივი, ლეოსებური bleuff-ი გამოდგა; მაგრამ ეს bleuffი ამას წინად ბ. კერესელიძემ გამოიყენა და თავისი გაზეთის N-ში დაბეჭდა ყოვლად უმგვანო, პროვოკატორული და მაბეზღარა წერილი, ვითომ სწორედ ერ. დემ. სურვებოდეს როდისმე ლეგაციისა და მთავრობის ჩამოგდება manu militari. ვისგან, როდის, სად, რის გამო. ამას, როგორც დახელოვნებული ინტრიგანი, რასაკვირველია, არ ამბობს და ვერც იტყვის თუ «თითიდან არ გამოწოვა», მაგრამ თავისავით ლაჩარ მენშევიკებში კიეჭვი და ღვარძლი გაამრავლა, ალბად მღვრიე წყალში თევზის დასაჭერად ჩვეულებისამებრ.

გინდათ ამის მაგალითიც: რას გვისაყვედურებდა და რას გვაბრალებდა მუდამ ბ. ლეო პირადათაც და თავის უმგვანო ფურცლებშიაც: თქვენ პატრიოტები საერთო ფრონტში რათა ხართ, მაგ, საქართველოს დამღუპველ ხალხთან საერთო რა გაქვთო და (.... ისიც რომ არ მოვიგონოთ, რომ თვით საქართველოში ბ. კერესელიძე შეიარაღებული და ყურმოჭრილი ყმა იყო მენშევიკებისა და ჟორდანიასაგან მიიღო, ანუ უკეთ, გამოითხოვა—ღენერლობაც (ჩვენ მაშინ ოპოზიციაში ვიყავით და ციხისა და დევნის მეტი არა გვინახავს რა ამ ხალხისაგან) და..... ) და იმავე დროს, ჩვენის შემწეობით, იღებდა ფულს და დავალებებს სწორედ ამ «საერთო ფრონტიდან»... მაგრამ... ტრაპახის მეტს ვერას აკეთებდა. მკითხველმა შეიძლება სთქვას, რა უყოთ, ადამიანი ხომ ქვა არ არის, გაჯიუტდეს და ფულიან დავალებას გაუძლოსო, მაგრამ რას იტყოდა ბ. კერესელიძის ახალგაზრდათა ჯგუფი» რომ დაუმტკიცოთ, რომ ცნობილ პროვოკატორულ წერილების შემდეგაც, საცა ბ. ლეო გამოყვანილი იყო ბოლშევიკების აგენტათ და დამანგრეველ პროტესტების შემდეგაც, სწორედ შარშან, ჩვენი «საერთო ფრონტიდგან» გამოსვლის წინა ხანებში, ბ. ლეომ მიართვა წერილობითი წინადადება იმავე ჟორდანიასა და რამიშვილს —ისევ ფულიანი დავალების გამოთხოვნით. ეს უკვე მოხდა ჩვენი შემწეობის გარეშე, შედეგებიც არ ვიცით მიიღო თუ არა, მაგრამ ეს ხდებოდა სწორედ მაშინ, როცა ბ. ლეო სწერდა თავის გაზეთში: ერ. დემ. პარტიის ლიდერები ყველა «საერთო ფრონტის» გარეშეა და იქ დარჩენილები არიან მხოლოდ ქართველი ერის ნდობის გარეშე მყოფი ხალხიო. და სწორედ ამავე დროს და სწორედ ჩვენ გვიგზავნის კერძო წერილებს და კაცებს: ერთად ერთი ღირსეული პატრიოტები თქვენა ხართ, მოდით. და დაეპატრონეთ «თეთრი გიორგის» ორგანიზაციას, რადგან ხალხი ცოტა გვყავსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაშასადამე ერთსა და იმავე დროს:

1) ჩვენ ქართველი ერის ნდობის გარეშე ვიყავით რადგან საერთო ფრონტში ვიდექით. (ამას ბეჭდავს ახდილად, საჯაროთ).

2). ერთად-ერთი ღირსეული პატრიოტები და ღირსნი თეთრი გიორგისაც კი. (კერძო წერილები და კაცები) და

3) საიდუმლოდ და უკანა კარებიდან თხოვნებს უგზავნის იმავე საერთო ფრონტის ლიდერებს, მისი პიროვნების გამათახსირებელთ და... იქნება კიდეც რიგდებიან.... ჩვენს ხარჯზედ. ფერი-ფერსაო: ერთნი ფარულ წერილებში ბოლშევიკების აგენტს ეძახიან და იმავე დროს საიდუმლო პოლიტიკურ დავალებებს აძლევენ (ბ. ლეო თითონ სწერდა ამას თავის გაზეთში) და მერე ნდობის გარეშე აცხადებს (ახლად, გაზეთში) ფრონტის ხალხს და საიდუმლოდ კი მისგან ფულიან დავალებებს იღებს.

რა არის ეს თუ არა რთული ყიზილბაშობა. და ჩვენა ვკითხავთ «თეთრი გიორგის» ახალგაზრდებს - იცის თუ არა მან ესეთი chinoiseries ბ. კერესელიძისა და თუ იცის, კისრულობს თუ არა მორალურ პასუხისმგებლობას.

შარშან აპრილში, როდესაც ბ. კერესელიძესთან საერთო აღარაფერი გვქონდა, ჩვენმა პარტიამ გასწყვიტა ორგანიზაციულად კავშირი «საერთო ფრონტთან» და მთლად გამოვიდა იქიდან. დარჩა რამოდენიმე, ლაქიასავით ჯამაგირზედ აყვანილი ჩინოვნიკი ადამიანი იფიქრებდა, ახლა კი ბ. ლეოს გულს მოვიგებდით, მაგრამ შენცარ მომიკვდე, მორიელს შხამიანი კუდი იმის მაგიერ კი არ აბია, რომ თუ გინდ გესლიანი გულის მაგიერობა გაუწიოს: და ახლა რა დაგვიწერა საალდგომო და სამაისო მოსალოცავად (შ ა რ შ ა ნ): წინად თუ „ნდობის გარეშე" ვიყავით, რადგან ფრონტში ვიყავით, ეხლა: „ფრონტში" დარჩა მომზადებული და მცოდნე ტვინი ერ. დემ. პარტიისა და გამოვიდნენ უვიცნი და ბრიყვნიო. და იცით ვინ არის ეს „მომზადებული და ტვინი", რომელზედაც ბ. კერესელიძე შ ა რ შ ა ნ წ ი ნ დღე-მუდამ ჩაგვჩიჩინებდა, ქულიკები (გვაზავა) და რუსოფილები (ზურაბიშვილი) გაყარეთ პარტიიდან და მე მაშინ თქვენთან, როგორც თანასწორ პატრიოტთან-პარტიაში შემოვალო და ჩემს ჯგუფსაც დავიყოლიებო. ალბად ამ „ტვინისაც" ეშინოდა ბ. „ღენერალსა" და „პროფესორს" და ჩვენთან, „უვიცებთან" „დირექტორობა და ალექსანდრე ბატონიშვილობა" გაუვიდოდა, ეგონა პამპულური ცერემონიებით ისევე, როგორც მისგან მოტყუებულ ბავშვებში გაუდის.

ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში თეთრი გიორგის ამწყობმა ბ. გიორგაძემ პირდაპირ სკანდალური წერილი დაბეჭდა და ქართველ საზოგადოებაში სამართლიანი გმობა გამოიწვია. თეთრგიორგელნი დარბოდნენ და ბოდიშს ხდიდნენ: "რა უყოთ, ნერვებ აშლილი კაცია, თითონვე ამწყობია

ეროვნული ბიბლიოთეკა



და არავის დაეკითხა ისე დაბეჭდაო. ჩვენ რომ გაგვეგო რასაკვირველია არ მივცემდით ნებასაო". „თვით დუჩე" ბ. ლეოსაგან მოვიდა საბოდიშო წერილი პარიზში, რომ ასეთი რამ მისდა ნების გარეშე მოხდა, მაგრამ როდესაც საზოგადოებამ პროტესტი განაცხადა, ბ. ლეომ „ჯიბრით" მთელი შემდეგ ნომერში მთელი თეორეტიული გამართლება გამოუძებნა ბ. გიორგაძეს საქციელს და დაასაბუთა თეთრი გიორგის თვალსაზრისით მისი პიროვნული შეცდომა - აი სად არის ის პოტენტენტური მორალი, რომელსაც უსაყვედურესენ რუსებს: ჩ ე მ ი ა ნ მ ა შეცდომაც და სიბოროტეც თუ ჩაიდინა უნდა გავამართლოთ ეს სახელმძღვანელო დეკანიზად დაუდო ბ. კერესელიძემ თავის ორგანიზაციას.

დასასრულ, ბ. ლეოს და მისი ორგანიზაციის უკანასკნელი გამოსვლა რომელმაც მ ოგვცა საბბბი დაგვერღვია სიჩუმე მათ ხულიგნურ არსებაზედ—გახლავთ ის პროვოკაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ვალენტინეში: თვით ბ. კერესელიძეს საპროვოკაციო სიტყვებს გამოუწვევია თითო-ოროლა ახალგაზრდის კამათი და ჩხუბიც. იმის მაგიერ, რომ ამაში დაშოშმინება შეეტანა, ბ. ლეოს მოჰგონებია თავის ახალგაზრდობის ავლაბრული ზნენი და «ორგანიზაციის» (!) დადგენილებით «კრივში» გამოუწვევინებია "შეურაცხმყოფელი" (duel a la Leo) და როცა აქ დამარცხეაულა მისი „ფალავანი", ასევე „ორგანიზაციულად" თეთრი ჯოხებით შეიარაღებულნი ჩასაფრებიან და თავს დასცემიან „მტერს". მაგრამ როგორცა სჩანს ბ. ლეოს ჯოხებითაც ვერ აღუდგენია შელახული თეთრგიორგული პრესტიჟი, ეს ჩვენი ნაცარქექია ოთახში შეხიზნულა და იმ კუთხის ყველა წრეებისათვის მოუდვია ამბავი, რომ ერ. დემ. გადაწყვეტილი აქვს (!?) ჩემი მოკვლა და ამისათვის საგანგებო ტერორისტებიც გამოგზავნესო. ამას ის ეთი მდგომარეობა შეუქმნია, რომ ორი ჩვენი ახალგაზრდა იძულებული იყო სამუშაო მიეტოვებინა და პარიზში გადმოსულიყო. ასეთი ჩუღურეთულ-ავლაბრული (საცა ბ. ლეომ გაატარა პატარაობა) ზნენი და უღირსი პროვოკაცია პოლიტიკურ ბრძოლაში, საქართველოს პოლიტიკურმა ორ განიზაციებმა ჯერ არ უწყიან.

თეთრი გიორგი გაიძახის, რომ იგი მაღალ ზნეობას ასწავლის თავის მიმდევრებსა და ქართულ საზოგადოებას. ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს ბ. ლეოს მაღალ ზნეობას და ჩვენ ვკითხავთ მისგან მოტყუებულ ახალგაზრდობას თუ ამ ზნისა და ზემოაღნიშნული ზნეობის პატრონს ბ-ნ კერესელიძეს რა ზნეობრივ სიმაღლეზე შეუძლიან აიყვანოს თავისი მრევლი. ყიზილბაში როგორც კერძო პიროვნება არ არის სასიამოვნო მაგრამ როგორც საზოგადო მოვლენა და ხელმძღვანელი - თუნდაც პატარა ჯგუფისა იგი - აშკარა არ არის განა რომ ყოვლად მავნე პიროვნებად გვევლინება?...

რ. გაბაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ორი კრება.

პარიზის ქართველობის ორი უკანასკნელი კრება ფრიად განსხვავდებოდა მრავალ სხვა კრებებისაგან, რომელთაც ადგილი ჰქონია პარიზში ამ რვა წლის მანძილზედ. კრების საგანი იყო გამგეობის მოღვაწეობის წლიური ანგარიშის მოსმენა და ახალი გამგეობის არჩევა. პირველი მალე დასრულდა. გამგეობის მოხსენებიდან სჩანდა, რომ გამგეობას ცდა და მაცადინობა არ დაუკლია, რომ ქართული კოლონიის საქმეები ოდნავადაც მაინც წაეწია წინ და სარევიზიო კომისიამაც ესევე დაადასტურა. ამ მხრივ ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ახალს გამგეობას აარიელი სალარო კი არ გადაეცემა, არამედ რამოდენიმე თანხებიც.

შემოსული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი გამგეობას თავის თავმჯდომარის ბ. დავ. სხირტლაძესაგან მიუღია, როგორც შეწირულება. ყველა თანხების უდიდესი ნაწილი ამ ზამთარს გამართულ ქართულ ბალისაგან შემოსულა. ანგარიშების დამტკიცების შემდეგ გამგეობის არჩევნების საკითხი დგება. დ. სხირტლაძე კატეგორიულ უარს ამბობს თავმჯდომარეობაზედ კენჭის ყრას, მაგრამ კრების ერთსულოვანი თხოვნის შემდეგ თანხმდება და ერთხმად ირჩევა ქართული კოლონიის თავმჯდომარედ.

თითქოს უმთავრესი გათავდა. მაგრამ სწორედ აქ იწყება კამათი, რომლის მეოხებით ახალი გამგეობის არჩევნები, 30 მარტისათვის დანიშნული ვერ შესდგა ვერც მეორე კრებაზედ, 4 მაისს. ძნელია იმის თქმა, თურით დაბოლოვდება ეს, კოლონიის საქმეების გარშემო ატეხილი დავა, ხოლო უკვე ნათელია ყველასათვის, რომ ამ 8 წლის განმავლობაში დამყარებულ წყობას კოლონიის საქმეებისას, ბოლო ეღება.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით გაშუქებულ იქმნა ყოველმხრივ ქართული კოლონიის 8 წლის უფერული არსეობა. შ. ამირეჯიბი იძლევა კოლონიის ცხოვრების საერთო სურათს და აღნიშნავს მისი ასეთი ვითარების უმთავრესს მიზეზს. ეს იგივეა, რაც იმ ორგანოებში, რომელნიც პოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან მთავრობისა თუ ეგრედ წოდებულს საერთო ფრონტის სახით. ყოველივე უნდა გაკეთდეს ამ ჯგუფის ჭკუაზედ ან და ის არ უნდა გაკეთდეს. მითაიხსნება რომ კოლონია ზეიმებს აწყობს მხოლოდ, სადაც ეს ჯგუფები კოპწიაობენ, თორემ კოლონიის არსებითი საქმე და დანიშნულება მათ არ აინტერესებთ და არც კეთდება. ამით არის გამოწვეული ორატორის აზრით ისეთი ვითარება, როდესაც გამგეობა და მისი თავმჯდომარე, როგორც აქ იქმნა ნახული, ცდა და მაცადინობას არ აკლებენ, რომ ქართული კოლონიის უამრავ საჭიროებებს მოუარონ შესაძლებლობის ფარგალში, მაგრამ ვერას ხდებიან. საქმე იქამდე მივიდა რომ კოლონიის თავმჯდომარეობაზედ არავინ თანხმდება და მთელს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კრების დიდი თხოვნის შემდეგ დასთანხმდა ბ. სხირტლაძე თავმჯდომარეობის თანამდებობის მიღებას, რომ ისედაც გართულებული მდგომარეობა ამით ოდნავად მაინც შეემსუბუქებინა. დ. ვაჩნაძე ადარებს ქართულ პოლიტიკაში ოფიციალ წრეების დამოკიდებულებას საერთოდ ემიგრაციის მიმართ სხვა ერთა ოფიციალ წრეებთან შედარებით. მას უამრავი მაგალითები მოჰყავს იმისი, თუ რამდენად გულთბილად ეპყრობიან სხვა ერთა ემიგრაციის მეთაურები ამ ემიგრაციის საერთო საჭიროებებს და როგორ ცინიზმამდე უყურადღებოდ არის მიგდებული ყოველივე ეს ქართულს სინამდვილეში. ქართულ ემიგრაციას არ აქვს არც სკოლა, არც ეკლესია, არც სამკითხველო და არც საკუთარი კუთხე. მებრძოლი ქართული ემიგრაციის ასეთი საჭიროების დაკმაყოფილებაზედ ზრუნვა, რასაკვირველია შეადგენდა იმ ხალხის მოვალეობას, რომლისხელში იყო დაარის საერთო საღსრები, მებრძოლი საქართველოს ფირმა და ოფიციალი მდგომარეობა. ასე იქცევიან მათს ადგილზედ სხვა ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერების ოფიციალი წრეები, მაგრამ ეს არ მოხდა და არ ხდება და ისევ თვით ქართულმა ემიგრაციამ უნდა უპატრონოს თავის თავს თუ მას არ სურს სრული დაცემა და განადგურება სულიერად და ფიზიკურად.

რ. გაბაშვილი ასრულებს ამ სურათს და მოჰყავს მაგალითები იმისა თუ რა ხერხებს ხმარობენ მენშევიკთა მეთაურები ამისათვის, რომ შეთანხმებით შედგენილს ორგანოს მხოლოდ ის გააკეთებინონ, რაც მათ სურს. აქ ხშირად არა მარტო საბოტაჟი და საქმეების გადადებ-გადმოდება, უკეთუ ეს საქმე მათ არ მოსწონს, არამედ სულ სიწინააღმდეგოს გაკეთება და ამის შემდეგ საბუთად ფაქტიურად შექმნილ მდგომარეობის გამოყენება. კოლონიის საქმეშიდაც იგივე იყო და ასევე იქნება, სანამ ის ძირიანად არ გარდაიქმნება.

ერ-დემ. პ-რტიის წარმოაადგენლები მოითხოვენ კოლონიის ასეთი ვითარების ძირითად ლიკვიდაციას პოლიტიკური პარტიების შეთანხმებებმა ვერ მიაღწია ბიზანს იქ, სადაც ის სავალდებულო იყო. აქ კი მხოლოდ ნიღაბი იყო ასეთი შეთანხმებისა და მის ნაცვლად ჩკენ უნდა შევქმნათ კოლონიის ორგანო პიროვნული შერჩევის ნიადაგზედ. ვინც საქმისათვის იქნება გამოსადეგი, ისინი უნდა იქნენ არჩეულნი და ეს პირები არავითარს «საერთო ფრონტზედ» არ უნდა იქმნენ დაქვემდებარებული კოლონიაში მოღვაწეობის დროს.

მენშევიკური პარტიის წარმომადგენლები, რასაკვირველია გამოეკამათნენ საკითხის ასე დაყენებას. მათ თავის მართლება დაიწყეს. გულწრფელობისა და სათნოების მეტი ჩვენ არაფერი ვიცით ჩვენს სიცოცხლეშიო. შემდეგ არჩევნების საკითხს სვამენ და ყოველგვარ დათმობაზედ წასვლას ჰპირდებიან კრებას, ოღონდ ერ. დემ. სთქვან რას მოითხოვენ ისინიო. გამგეობის თავმჯდომარე ეროვნულ დემოკრატია და შვიდს წევრში ორია მხოლოდ ჩვენი პარტიიდან თუ მოითხოვთ ერთი იყოს მხოლოდ კოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიის გამგეობა საერთო თანხმობით ავირჩიოთო.

ასეთი განცხნდებების შემდეგ ისინი გამგეობის სიას არდგენენ, რომელშიდაც ორი მენშევიკი იყო მოთავსებული. ა. ასათიანი აკეთებს განცხადებას ერ-დემ. პარტიის სახელით და ამბობს, რომ ერ-დემ. პარტიის წარმომადგენლები არ დაუჭერენ მხარს ძველს საფუძვლებზედ შედგენილს გამგეობის სიას და საზოგადოთ არავითარ სიას, რომელიც მენშევიკების მიერ იქნება წარმოდგენილი. შექმნილს პირობებში ის ერთად ერთს გამოსავალს ხედავს, რომ კოლონიის თავმჯდომარემ თვით აიღოს ინიციატივა გამგეობის სიის შედგენისა იმ საფუძვლებზედ, რომელიც წამოაყენა ერ-დემ. პარტიამ. ეს სია მან უნდა შეადგინოს კოლონიის საქმიანობის ინტერესების მიხედვით და სიის შედგენის დროს ის, რასაკვირველია ანგარიშს გაუწევს როგორც პარტიულ ხალხს, აგრეთვე უპარტიო მასსასაც. კრება ღებულობს ასეთს წინადადებას და გამგეობის არჩევნები შემდეგი კრებისათვის გადაიდვა.

4 მაისის კრებაზედ გამოირკვა, რომ ეს საქმე კვლავ მოურიგებელი დარჩა. მენშევიკები უსაყვედურებდნენ ეროვნულ - დემოკრატებს, რომ მათი წარმომადგენლები ორჯერ იყვენ მოწვეული პარტიათაწარმომადგენლობის თათბირზედ ამ საქმის ძოსაგვარებლად, მაგრამ ისინი არც ერთხელ არ გამოცხადდენო. ა. ასათიანი უპასუხებს მათ, რომ ამის მიზეზი მათ ეცნობათ. ეს თათბირები ეწყობოდა ძველის წესით და არა ისე, როგორც ეს ეროვნულ-დემოკრატებმა მოითხოვეს და კრებამაც გაიზიარა. პარტიებს არ მოეპოებათ საერთო ორგანოპოლიტიკური მუშაობისათვის მიუხედავად მრ-ვალი ცდისა ამ ხნის განმავლობაში და კოლონიისათვის ასეთი საგანგებო შეთანხმების მოწყობა მეტად რთული იქნება და ამასარც მოითხოვს კოლონიის საქმიანობის ბუნებაო. შეთანხმება კოლონიის საქმიანობისათვის შესაძლებელია მხოლოდ იმ ნიადაგზედ, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ და თუ ის არ მოხერხდება მაშინ ჩვენ უნდა ორი სია შევადგინოთ და რომელიც გაიმარჯვებს ის გაუძღვება კოლონიის საქმეებს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენ არ ვართ კოლონიის დაშლის მომხრე და ამ გზით არ წავალთ მაშინაც კი უკე თუ ჩვენი გეგმა და ჩვენი სია ვერ გაიმარჯვებს. ხოლო თუ შეთანხმებაზედ იქნება მუშაობა ამ სფეროში, ეს მოითხოვს რომ კოლონიამ მიიღოს ის გეგმა, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ და რომელიც მარტო ჩვენი პარტიის აზრს კი არ გამოსთქვამს, არამედ მრავალრიცხოვან უპარტიო წრეებისაც. ჩვენ ვერ შევიწყნარებთ რომ კილონიის საქმიანობაში დარჩეს ეგრეთ წოდებული «საერთო ფრონტის» ბუტაფორია.

ქართული კოლონიის უმრავლესობა არაფრით არ არის დაკავშირებული ამ ხელოვნურად შედგენილს «საერთო ფრონტთან» და ამას თავისი გამოსახულება უნდა მიეცესო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მენშევიკების წარმომადგენლები არ უწევენ წინააღმდეგობას ასეთს მოთხოვნილებას და კრება კვლავ გადადებულ იქმნა ივნისისათვის. გამგეობის თავმჯდომარეს ბ. სპირტლაძეს ეთხოვა ამ საქმის თაოსნობის გაწევა და შემუშავება როგორც მუშაობის გეგმის მომავალ წლისათვის აგრეთვე გამგეობის სიისა.

კოლონიის ორი უკანასკნელი კრება სავსებით ამ საკითხებმა შეიწირა. მართალია პირველს კრებაზედ მოკლე კამათი გამოიწვია «თეთრი გიორგელების» საკითხმა, მაგრამ ის მალე დასრულდა. გამგეობის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომელშიდაც დაგმობილი იყო ამ ჯგუფის უკანასკნელი გამოსვლები. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ ჯგუფს ლანძღვა-გინება აქვს დასახული თავის ბრძოლის უმთავრეს იარაღად და ეს ვნებს ჩვენს ეროვნულს სახეს და სახელს უტეხს ერსაო. კრებამ დაადასტურა თავმჯდომარის განცხადება და საკითხი ამით ამოიწურა.

თვით კოლონიის გარშემო ატეხილს დავას სავსებთ ზემოდ მოხსენებული ორი წრე ეწეოდა. მენშევიკები იცავდენ თავის «ფრონტის» გეზს, ხოლო ეროვნულ-დემოკრატები თავის პარტიისა და ყველა «ფრონტის» გარეშე მდგომ წრეების შეხედულობას. უპარტიო წრეების განწყობილება გრ. ბერიძემ გამოხატა. მან განაცხადა, რომ ის არ მუშაობს პარტიაში, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას სავსებით იზიარებს. მან მწუხარება გამოსთქვა, რომ შეთანხმება არ არის მიღწეული პოლიტიკურს მუშაობაში და თვით კოლონიის საქმეებშიდაც ასეთი გაორება არსებობს. ის ჰფიქრობს, რომ კოლონიის საქმეების ხასიათი ისეთია, რომ არ უნდა იყოს ძნელი შეთანხმების მიღწევა საქმიანობის ნიადაგზედ და საქმიანი სიის გარშემოვ.

კოლონიის ეს ორი უკანასკნელი კრება მარტო იმით არ იყო საყურადღებო, რომ მან გამოამჟღავნა, როგორც არასოდეს, ქართული კოლონიის უაღრესი სისუსტე და ორგანიზაციული ნაკლი. არც სკოლა, არც ეკლესია, არც ბინა, არც სამკითხველო, არც მოსწავლე ახალგაზრდობის პატრონობა. არც ურთიერთ დახმარების ღირსეულად მოწყობა და ამის ნაცვლად გარეგნული პოლიტიკური რეკლამებით გატაცება და მით დაკმაყოფილება.

ამ კრებებმა გამოამჟღავნეს აგრეთვე დიდი ფსიქოლოგიური ცვლილებები იმ წრეში, რომელიც აქამომდე ყოველივეს მეთაურობას ჩემულობდა და ყოველივეს შლიდა და აღღვევდა. როგორც სჩანს მენშევიკურ მასსას ბევრი რამ უკვე შეგნებული აქვს ამ საგანზედ, ამ ზომად დიდის დაგვიანებით. როდესაც მისი სახელით ლაპარაკობდა გ. ურატაძე და ის პარტიის აზრის გამოსახვას ცდილობდა რბილი, დამთმობი და შემარიგებელი ტონით, მენშევიკური მასსა თავის კმაყოფილებას ტაშის დაკვრით გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მოთქვამდა. ხოლო როდესაც სხვა ამას მკვახედ იცავდა და ერ-დემ. პარტიის წარმომადგენლებს შესძახებდა: თქვენ ხელთაუმანი გადმოგვიგდეთ და ჩვენ მას ვიღებთო, ასეთს გამომწვევ მებრძოლ პოზას სამიოდე კაცი თუ იწონებდა.

როგორც სჩანს ეს მასსა დაიღალა იმ შეურიგებელი და «სამოქალაქო ომის» სულისკვეთებისაგან, რომელსაც მისი მეთაურები მას თავს ახვევდა 30 წლის მანძილზედ. ის უკვე ხედავს და აფასებს ასეთი პოლიტიკის დამღუპველს შედეგებს მთელი ერისათვის და თვით მათი პარტიისთვისაც. ის ფენებიც, რაც შერჩა მენშევიკურ მეთაურობას, უკვე დიდათ არიან ფსიქოლოგიურათ დაშორებული ამ მეთაურების უცვლელ ბუნებას. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა და მას თავისი დადებითი შედეგები ექნება არა მარტო კოლონიის საქმეებში.

არა ნაკლებ საყურადღებო იყო ის გარემოება, რომ ქართული ემიგრაციის კრებაზედ «საერთო ფრონტის» სახით მხოლოდ მენშევიკები გამოდიან. აქამომდე ისინი ყველას არწმუნებდენ, რომ თითქოს ეს ფრონტი ყველა საქართველოს მებრძოლ პარტიებს შეიცავს და ის მთელ მებრძოლ ერს გამოსახავს. საქვეყნოდ გამომქღავნდა, რომ თუ მენშევიკებს ამ ფრონტში ჰყავთ ორიოდე ვითომდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, ასეთი წარმომადგენლობა ვერ სცილდება მათს კარებ გამოკეტილს ოთახს და ისეთს წრეებს, რომელნიც ქართულს სინამდვილეს არ იცნობენ და ამის გამო მათი თვალის ახვევა ადვილი ხდება.

ხოლო როდესაც მენშევიკები დღის სინათლეზედ გამოდიან და ქართულს საზოგადოებას ხვდებიან, აქ ისინი უკვე ვეღარ ბედავენ ასეთს „წარმომადგენლობასთან" ერთად გამოჩენას. ეს მთელმა ემიგრაციამ დაინახა კოლონიის ორს უკანასკნელს კრებაზედ და ამასაც თავისი მნიშვნელობა აქვს

შორეულ ი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ზურაბ ავალიშვილის წიგნის გამო.

«ბრძოლის ხმის» ფურცლებზედ ფრიად საყურადღებო კამათი სწარმოებს. კამათობენ ერთის მხრით პროფესორი ზურაბ ავალიშვილი, მეორეს მხრით—თითონ გაზეთის რედაქცია. მაგრამ ზურაბ ავალიშვილი მენშევიკი არ არის და არც საზოგადოთ პარტიის კაცი. მაშ რამ მიიყვანა ავალიშვილი მენშევიკურ გაზეთის ფურცლებზედ? ამის მიზეზი არა ნაკლებ საყურადღებოა.

ჟურნალ „სამშობლოს" გამოსვლის შემდეგ, მენშევიკებმა „ქართული რეაქციის" არსებობა აღმოაჩინეს. მართალია ეს ქართველი რეაქციონერები ის ხალხია, რომლებთანაც გუშინ სწორედ ეს მენშევიკები თანამშრომლობდნენ და არც დღეს იქნებიან წინააღმდეგნი, თუ ეროვნული დემოკრატია ისევ საერთო ფრონტში შევა. მაგრამ მენშევიკები ამას არ დაგიდევენ და თავისი ლოღიკის სადღეგრძელოთ ამ „ქართულ რეაქციას" ზურაბ ავალიშვილიც ზედ მიაყოლეს. ბრძოლის ხმის სტილით რომ ვილაპარაკოთ, ზურაბ ავალიშვილი „დანოსის" ავტორი, მაბეზღარა და სამართალში მისაცემი ყოფილა. ზურაბ ავალიშვილი საპასუხოთ სხვა გაზეთში არ გაქცეულა და თავისი პასუხი იმავე ბრძოლის ხმას გაუგზავნა მაგრამ იცოდა რა, თუ რა ზნეობრივი ავლადიდების პატრონია მენშევიკური გაზეთი, მოითხოვა რომ მისი წერილი დაბეჭდილიყო არა როგორც რედაქციის მოწყალება, არამედ როგორც კანონის ბრძანება, როდესაც გაზეთი კაცს ცილსა სწამებს. მეორეს მხრით, მენშევიკურმა გაზეთმაც პირმოთნედ განაცხადა, რომ კანონზედ მითითება რა საჭიროა იყო, განა ისეკი არ დაგიბეჭდავდითო და ძველ ცილისწამებას სხვა ახალი დაურთო. ასე წარმოიშვა ეს პოლემიკა, მას დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და საკითხი თუ ვინ არის მართალი, ზურაბ ავალიშვილი თუ ბრძოლის ხმა , ძალა უნებურად, დღის წესრიგში დგება.

ჩვენთვის აქ ორი აზრი მიუღებელია. ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარებისათვის, მისი ბანდიტური მეთოდებისგან განთავისუფლებისათვის და ქართული პოლიტიკური კულტურის ერთხელაც არის შექმნისათვის, აუცილებლად საჭიროა რომ მართალი იყოს პროფესორი და არა მენშევიკური პროპაგანდისტების უსახელო ჯგუფი.

1924 წელს ზურაბ ავალიშვილმა თავისი დამოუკიდებელი საქართველო გამოსცა. იმ წიგნთა შორის, რომლებიც 1918 წლის შემდეგ უცხო თუ ქართულ ენაზედ საქართველოს შესახებ დაიბეჭდნენ ზურაბ ავალიშვილის წიგნი ყველაზედ შესანიშნავია. იგი მართალი და დასაბუთებული აღწერაა იმ ფრიად რთული და მრავალმნიშვნელოვანი ეპოპეისა რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა ეწოდება. მრავალ სხვა ღირსების გარდა წიგნი შესანიშნავია იმითაც რომ დაწერილია მცოდნე კაცის მიერ და ისე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თი ქართველისაგან რომელიც თითონ იყო მონაწილე და თანაც პასუხისმგებელი მონაწილე იმ ამბების ესე იგი მთელი უახლოესი ქართული პოლიტიკის რომელსაც ის აგვიწერს, ყველა სხვა კულტურულად და პოლიტიკურად განვითარებულ საზოგადოებაში და მით უმეტეს პოლიტიკურ ემიგრაციაში ასეთი წიგნი ცნობის მოყვარეობას და ხალისს გამოიწვევდა მას დაკვირვებით შეისწავლიდნენ და სათანადო დასკვნებს გამოიტანდნენ. რა უყოთ, თუ, ვსთქვათ, იქ «შეცდომებია» რა უყოთ იმასაც თუ წიგნმა ვინმე გააწბილა და ჩვენი პოლიტიკური ტიკები და ტიკჭორები, რომლებიც გუშინ სავსენი გვევონენ დღეს მხოლოდ გაბერილები გამოდგნენ! ზურაბ ავალიშვილის წიგნი მაინც ჩვენი ახლო წარსულის ისტორიაა. თუ ავტორი პროფესორია, როგორც „ბრძოლის ხმაც" უწოდებს, თუ ავალიშვილი ის ქართველი მოღვაწე და მამულიშვილია, რომელიც გუშინ ჩვენ დიდს საქმეს აკეთებდა (და არა მარტო საქართველოს ლეგაციის მოსამსახურე, როგორც „ბრძოლის ხმა" სწერს) ასეთს კაცს მეტი ნდობა და მეტი პატივისცემაც ესაჭიროება. ეს ნდობა და პატივისცემა მით უფრო საჭიროა, როცა საქმე დიდის ჩუმის ტანჯვით და დიდის მამულიშვილურის განცდით დაწერილ ისტორიას ეხება. მაგრამ მთავარი ცოდო საქართველოს გუშინდელი მმართველებისა მუდამ ის იყო, რომ ქართველი ერის წარსულს, მის ისტორიას იმ გულგრილობით უცქეროდნენ, როგორც ცხენი თავის ფეინს. დღესაც კი, როდესაც ბედმა მათ „საკუთარი" საქართველოს ისტორია მისცა, რომლის მომქმედნი და შემქმნელნი თითონ იყვნენ, ამ თავის ისტორიასაც იმავე ცხენის თვალებით უცქერიან.

იმ პოლემიკას, რომელიც დღეს ზურაბ ავალიშვილისა და მენშევიკურ გაზეთის შორის სწარმოებს, ჩვენთვის ერთი მნიშვნელობა აქვს: აქვს თუ არა პატიოსან კაცს უფლება სიმართლე სთქვას? ქართული მენშევიზმის პროპაგანდისტები ერთხმად ჰყვირიან რომ სიმართლის თქმის უფლება არავისა აქვს და მით უმეტეს მაშინ, როცა ეს სიმართლე მენშევიკებს ეხებაო. და როგორც ყოველთვის, ამ დებულებას საქართველოს ინტერესებით ასაბუთებენ. არაფრის ცოდნა, წარსულზედ და მის შეცდომებზედ თვალის დახუჭვა, მართალის დამალვა და ტყუილის გაბერვა, აი რა ყოფილა თურმე ქართველი ერისათვის საჭირო და აუცილებელი. ძირს ისტორიის წერა, ძირს კრიტიკა, ძირს დამოუკიდებელი საზოგადოებრივი აზრი და გაუმარჯოს ტყუილს, ისევ იმავე ძველ შეცდომებს, ისევ იმავე ბებრუხუნა მენშევიზმს და მის გაბერილ ტიკებს! აი, რას ქადაგებს «ბრძოლის ხმა»....

ზურაბ ავალიშვილის წიგნში რომ საკუთრივ მენშევიკებზედ ბევრი არა სასიამოვნო სტრიქონებია—ეს ჩვენც ვიცით. ამიტომ ვიცით ისიც თუ რატომ სდგებიან მენშევიკები ყალყზედ. მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანი ზურაბ ავალიშვილის წიგნში ეს არ არის. მთავარი ღირსება წიგნისა მისი ისტორიული სიმართლეა. რა იყო ეს დამოუკიდებელი საქართველო,

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორი იყო მისი მმართველობა, რა შეცდომები ჰქონდა მას და როგორ უნდა მოიქცეს იგი, თუ კიდევ სიცოცხლე სწყურიან—აი წიგნის მთავარი შინაარსი, აი წიგნის სიმართლე და ამ სიმართლეს «ბრძოლის ხმა» „დანოსს" უძახის,

განა საჭიროა კიდევ იმისი თქმა, რამდენი სიბინძურეა ამ სიტყვაში, რა ზედმიწევნილობით გვიხატავს ამ ცხენის ჯიშის ხალხს, მათ ზნეობრივ ავლა-დიდებას, მათი გონების უნარს, პოლიტიკური ბრძოლის ხერხებს და ლიტერატურული კამათის ეთიკას. და ერთხელ კიდევ უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი ზნე ჩვეულება მათი ძველი სენია. მენშევიზმი ამ სენზედ გასუქდა. ძველი ამბავია, მაგრამ მოგონება მაინც საჭიროა. როცა ნათ ილია ჭავჭავაძეს დამდაბლება და ხალხში სახელის გატეხა მოუნდომეს, მათ დასწერეს, რომ ილია ჭავჭავაძე ხალხს ტყავს აძრობდა, კოკებს თავზედ ანტეკრეკვდა და ხალხს წყლის სმას უკრძალავდა. ერთის შეხედვით პატარა ბრალდებაა! რა დიდი საქმეა მართლა კოკის დანტვრევა, ან თუნდა წყლის სმის აკრძალვა—თითქოს სხვა წყალი არ იყოს! მაგრამ შედეგი? შედეგი თქვენს მტერს დამარცხენია.....

ასეა ეხლაც. რა დიდი საქმეა ზურაბ ავალიშვილს «მედანოსეა» უწოდო და «პოდსუდში» მისაცემად გაამზადო. განა ცოტა მედანოსეა ჩვენსა თუ თქვენსა, აქა თუ საქართველოში? ვის რა, თუ ზურაბ ავალიშვილიც მა თში ჩაირიცხება. ერთით მეტი თუ ერთით ნაკლები ქვეყანას არ დაანგრევს!

მაგრამ მე მაინც მეცოდება საქართველოც და ქართველი ხალხიც, პროფესორებიც და წერა-კითხვის უცოდინარნიც, რომელთა ბედი ისეთ საკინძ-ჩამოხსილ ადამიანების ხელში იმყოფება, როგორც ეს „ბრძოლის ხმის" უგვარო და უსახელო თანამშრომლებია!

ეს სიბინძურე ისეთი თვალის მომჭრელია, რომ ამაზედ ყვირილია საჭიროდ. კამათიც იმდენადთვით ბრძოლის ხმის პუბლიცისტებთან არ არის საჭირო, რამდენათ ლაპარაკი ამ ბრძოლის ხმის მკითხველებთან, რომელთაც შესაძლებელია, მართლა დაიჯერონ, რომ ზურაბ ავალიშვილის ნაწერები არა მარტო „დანოსია" (ვისთან?) არამედ ხელის შემშლელი პირობაც, რომ „საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ" თავისი საქმე აკეთოს. ბრძოლის ხმა ამ ბრალდებას ისე აშკარად ამბობს, რომ გამოუცდელ მკითხველს მეტი არაფერი დარჩენია, თუ არა ის, რომ ზურაბ ავალიშვილი მართლა ქვეყნის მოღალატედ წარმოიდგინოს. ამიტომ კითხვა ჩვენც აშკარად უნდა დავაყენოთ. უფლება აქვს თუ არა ქართველ მოქალაქეს პროფესორი იქნება ის, პუბლიცისტი თუ პოლიტიკური მოღვაწე, რომ საქართველოს ეროვნულ მთავრობის წარსულ თუ აწმყო მოღვაწეობაზედ თავისი აზრი საჯაროდ წარმოსთქვას, თუ ნებადართულია მხოლოდ ამ მთავრობის სადღეგრძელოების სმა?

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ კითხვის გადაჭრა მთელი ჩვენი ეხლანდელი პოლიტიკური მოღვაწეობის პრობლემად ხდება, ვინაიდგან ისტორიულმა ბედმა მართლა ისეთ უცნაურ რკალში მოგვამწყვდია, როცა, ძალიან ხშირად, რაცამ მთავრობისათვის «მავნეა», თვით საქართველოსათვის. მისი პოლიტიკური მერმისისათვის, ქართველი ერის ინტერესებისათვის სასარგებლოა. მაგალითად ეს მთავრობა რომ უუდი იყო და ზოგ რამეში (თუ ბევრში არა?) ბოლშევიკურიც, ამისი თქმა, ცხადია, ამ მთავრობისათვის მავნეა. მაგრამ რა დგანაც საქართველო თავის ხსნას, თავისი მკლავის გარდა, ევროპიდანაც მოელის, ამ ევროპამ, რომელმაც ამ მთავრობის ფასი ჩვენზედ კარგადიც ის, ისიც უნდა იცოდეს რომ ქართველ ხალხს ეს გარემოება არასოდეს არ მოსწონდა, და ამისი თქმა საქართველოსათვის სასარგებლოა. ქართველი ერის ბრალი არ არის ის გარემოება, რომ მისი ეროვნული მთავრობა თავისის წარსულით თავის ერს ხშირად კრიზაში უდგას და მავნე კონკურენციას უწევს. ამ უსიამოვნო შთაბეჭდილების გაქარწყლებაზედ ყველაზედ ადრე თვით ამ ეროვნულმა მთავრობამ უნდა იზრუნოს. ამის ნაცვლად კი რას შვრება ეს მთავრობა? ის ჰკლავს საზოგადოებრივ აზრის თავისუფლებას ქართველ ერში დიდის მცირე გამოსახულებასაც დანოსს უძახის. რა უნდა იყოს იმაზედ უგუნური, როდესაც ბრძოლის ხმა ზურაბ ავალიშვილს უსაყვედურებს: ჩვენს მიწის რეფორმას ბოლშევიკურს უძახი და ინგლისელებთან გვასმენო! ნამდვილად კი ეს ქებული მიწის კანონი მენშევიკებმა თითონ გადათარგმნეს ფრანგულად და მის სოციალისტურ ბუნებაში რომ ეჭვი არვის შეეტანა, თანაც სოციალისტის პიერ რენოდელის წინასიტყვაობა წაუმძღვარეს. შეიძლება ამის შემდეგ ფიქრი რომ, ამ რეფორმის ავ-კარგი ევროპიელებს, ფრანგები იქნებიან თუ ინგლისელები, დიდი ხანია წაკითხული არა ჰქონდათ! მაშასადამე ასეთი ბრალდების ზურაბ ავალიშვილზედ მოხვევა ყოვლად უმართებულო საქციელია.

კიდევ უფრო რეგვენული და უმართებულოა ზურაბ ავალიშვილის წიგნის დაგმობა იმაზედ მითითებით რომ იგი ბოლშევიკებმა გადათარგმნეს. ბოლშევიკებმა დღეს მარქსი სულ მიითვისეს და ყველა საზიზღრობას მისის სახელით სჩადიან. თუ ბრძოლის ხმა ლოდიკის ფარგალში დარჩება, მენშევიკებმა მარქსიც უნდა უარჰყონ. მაგრამ რათა თავისი ბრალდება უფრო ჩაბეჭდოს ბრძოლის ხმა იმასაც ამბობს, რომ ავალიშვილის წიგნს ბოლშევიკებმა წინასიტყვაობა დაურთესო. დიახ დაურთეს! რას არ დაურთეს მერე ბოლშევიკებმა თავისი წინასიტყვაობა! დაურთეს კი არა, შექსპირი და ბეთჰოვენიც თავისებურად გადააკეთეს! მაგრამ ამისი ბრალი შექსპირისა და ბეთჰოვენისა თავის ჯერ არავის დაუდვია. ყოველს შემთხვევაში ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია რომ ბოლშევიკების ეს წინასიტყვაობა იმაზედ უარესი და იმაზედ საშინელი იყოს, როგორი წინასიტყვაობაც კარლ კაუცკიმ დ. შარაშიძის წიგნს წაუმძღვარა და სადაც იგი საქართველოს «სამიდღემჩიოდ» მენშევიკურ ქვეყანად აცხადებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამ რიგად ასეთის ბუქით და ასეთის კორიანტელით ნათქვამი სიტყვები ბეჭდობაზედ, ღალატზედ და სხვა ამისთანებზედ რეგვენი ჭკუის, ბოროტი განზრახვის და მრუდე გულის ნაკარნახევია. თუ ბრძოლის ხმა ამას საქართველოს ეროვნული მთავრობის კარნახითა სწერს, მით უარესი ამ მთავრობისათვის ვინაიდგან იმას რასაც ბრძოლის ხმა სწერს შეუძლებელია ქართული ღირსების, ქართული საქმის, ქართული პოლიტიკის დაცვა უწოდოთ. დასასრულ არ შეიძლება ყურადღება იმასაც არ მიექცეს რომ ზურაბ ავალიშვილის წიგნის გამოსვლის შემდეგ თითქმის ექვსი წელიწადი გავიდა და ბრძოლის ხმის პასუხები ამ წიგნზედ და ავტორის «მორალური ფიზიონომიის» შეფასება მხოლოდ ეხლა ხდება. კიდევ უფრო ნაგვიანევია რა ღაცა იურისდიქციებზედ სიტყვის ჩაკვრა. რაც უფრო მალე დარწმუნდება ბრძოლის ხმა რომ ამ მთავრობამ, რომელმაც ყველაფერი დაკარგა, ყველა ედ ადრე ეს იურისდიქციები დაკარგა, მით უკეთესია მისთვის.

შ. ამირეჯიბი.

---

## პილსუდსკი და ჟორდანია.

ერთი გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსი და ეკონომისტისაგან ხშირად გამიგონია, რომ ოკუპმართობა საქართველოსი იმ დღიდან დაიწყო. როდესაც მესამე დასი ჩაისახაო. არასოდეს ეს სატყვები ისე დამაჯერებლად არა ხვდება გულს, როგორც მენშევიკური „ბრძოლის ხმის“ წაკითხვის დროს. ამ გაზეთის 5-თე ნომერში „სახელო“ წერილია მოთავსებული: „დავა“, სადაც ჩვეულებრივ ბაბიბუსუკურ მსჯელობასთან ერთად სერიოზული მსჯელობის უნიჭოც დასაც აქვს დათმობილი საპატიო ადგილი. გაზეთი ალ. ასათიანის წერილს ეკამათება, სადაც მოყვანილი იყო ისტორიული ცნობა პოლონეთის აღდგენის ხანიდან, როდესაც მოკავშირეებმა არ იცნეს პილსუდსკი რომელსაც მთელი პოლონეთი ეჭირა ხელში, ხოლო საფრანგეთმა პოლონეთის მთავრობათ პოლონეთის კომიტეტი იცნო, რომელიც პარიზში იმყოფებოდა დმოვსკის მეთაურობით. ბ. ასათიანს ეს ცნობა იმის დასამტკიცებლად მოჰყავდა, რომ არ არის საკმარისი მთავრობის მიმქრალი ოფიციალი უფლებები იმისათვის, რომ ასეთი მთავრობა მართლაც და მთავრობად მიიჩნიონ და ჩასთვალონ, არამედ კიდევ ბევრი რამ სხვა.

ბ. ასათიანმა ეს ცნობა მოიყვანა, ხოლო მას არც თავისი თავი შეუდარებია დმოვსკისათკისდა არც ნ. ჟორდანია პილსუდსკისათვის. ხოლო ბრძოლის ხმა შემთხვევით სარგებლობს და ნ. ჟორდანიას პილსუდსკისთან ანალოგიით არის გართული. ეს მართლაც საინტერესო თემაა და ჩვენც შევეხებით მას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოსა და პოლონეთის ისტორიებში მრავალია იდეიტიური მხარეები. წარსული საუკუნის სახელოვანი ბრძოლები დამოუკიდებლობისათვის. შემდეგ დაპყრობა მტრების მიერ, განაწილება ამ ქვეყნების და იმავე იმპერიის ფარგლებში ორთავე ტერიტორიების მოქცევა, მრავალი აჯანყებები და გამარჯვება-დამარცხებები, ომი, რევოლუცია, იმპერიის დაშლა, დამოუკიდებლობის ხელ ახალი აღდგენა და სხ. მრავალი. აქამომდე ქართველობის და პოლონელების ბედი პარალელურად ერთნაირად მიდიოდა, დღეს კი ერთი დამოუკიდებელია, ძლიერი სახელმწიფოა, კულტურის, განვითარებისა და ცივილიზაციის გზაზეა დამდგარი, ხოლო მეორე კვლავ მტრის ხელშია, ტანჯული, წამებული და დაფლეთილი. სანამ საქართველოს ეროვნული ხელმძღვანელობა ჰყავდა. ისიც პოლონეთივით გამარჯვების გზაზე იდგა, ხოლო როცა ის ინტერნაციონალების საცდელ მინდვრად გახადეს, ის ასცდა პოლონეთის გზას და მენშევიკების მიერ და წყებულ ექსპერიმენტებს დღეს იქ ბოლშევიკები განაგრძობენ.

ბ. ნოე ჟორდანია ისევე ჩემულობს ქართველი ერის ბელადობას როგორც პილსუდსკი პოლონურისას. უკანასკნელის უფლებები ფაქტებით არის განმტკიცებული, ხოლო ახირებულია პირველის ფარული თუ ახდილი პრეტენზიები, რადგან საქართველო მის ხელში დამარცხდა, საქართველო მის დროს გარუსების გზაზე იდგა, ის ქართულ თავად-აზნაურობას რუსის მეფის კარის მასხარაობას სწამებდა და თვითონ კი ქართველ დემოკრატიას რუსის დემოკრატიის კარის მასხარის თანამდებობაზე მოუწოდებდა და მოუწოდებს. ამასთან ერთად პილსუდსკი თავის სამშობლოშია და ნოე ჟორდანია სამშობლოდან უბრძოლველად გამოქცეული. გაუკეთოთ ანალიზი ერთისა და მეორის ნასაქმს, ნათქვამს და ნაწერს და დავინახავთ თუ რამდენად საფუძვლიანია აღნიშნული პრეტენზიები ქართველი ხალხის ბელადობაზე.

პილსუდსკიმ შეალია მთელი თავისი გრძნობები, ნებისყოფა. ჭკუა და ფიზიკა პოლონეთის ეროვნულ გათვითცნობიერებას მასში სეპარაციის იმედების გაძლიერებას და ვაჟკაცობის გაღვიძებას, ჟორდანია კი ქართველებშიას ეთს გათვითცნობიერებას შეეპრძოლა, მასში რუსეთისადმი შიშის გრძნობას სთესდა, მოუწოდებდა საკუთარი თავის უარყოფას მსოფლიო პროლეტარიატისათვის და უკანასკნელის მებაირახტრეთა პრობლემატიურ აზრების განყენებულ სფეროში გააცდინა ქართველი ერის ფიქრები.

პილსუდსკი, მსოფლიო ომის დროს, რუსეთს ებრძოდა, ვისგვერდი თაც არ უნდა მოხდენოდა ამ ბრძოლის წარმოება. ჟორდანია კი ამ დროს რუსული დამპყრობელური ტენდენციების დამცველად გამოდიოდა. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მიმარულებათ რუსის ჯარი მიუსია რედაქციებში და სომხის და რუსის მუშები სამრეწველოებში და სახელოსნოებში. პილსუდსკი დროს მიხედვით შეურიგდა დმოვსკის. ჟორდანია

ეროვნული ბიბლიოთეკა



კი უსისიანებდა თავისიანებს ეროვნულ აღორძინებისათვის თავგანწირულად მებრძოლთ.

სოციალისტი იყო პილსუდსკიც და ჟორდანიაც. ერთმა პოლონელი ერის გასანაღდებელ მიზნებს ანაცვალა სოციალიზმი, ტაქტიკის, სტრატეგიის კითხვად დასვა იგი. მეორემ კი პირიქით, ქართველი ერის გასანაღდებელი და მისაღწევი მიზნები სოციალიზმს ანაცვალა. ქართველი ხალხი სოციალისტური ტაქტიკისა და სტრატეგიის მასალად გამოიყენა. პირველისათვის ერი იყო მიზანი სოციალიზმი კი საშუალება. მეორისათვის სოციალიზმი იყო მიზანი და ერი საშუალება. რა გასაკვირია, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლაში პილსუდსკის გვერდით მთელიანი პოლონელი ერი აღმოჩნდა, ხოლო ასეთსავე ბრძოლაში ქართველი ხილხი უბელადოთ დარჩა დი ჟორ დ ნიას მიზნები მან საქართველოს მიზნად ვერ დაისახა.

როდესაც პილსუდსკი პოლონეთის მთავრობის თავმჯდომარე გახდა, მასთან მისი ძველი სოციალისტი ამხანაგები მივიდენ და საუბრის დროს მას ამხანაგი უწოდეს. პილსუდსკიმ უპასუხა—გთხოვთ პანი მიწოდოთ და არა ამხანაგიო. ბართალია ჩვენ ერთს ტრამვაიში ვისხედით და სიერთიგზით მივდიოდით, მაგრამ როგორც კი მოუახლოვდით პოლონეთის პირველ სადგურს, მე ტრამვაიდან ჩამოვედი და ამ სადგურზედ დავრჩი, ხოლო თქვენ გზას განაგრძობთ და გზას მშვიდობისას გისურვებთო. ჟორდანია არ ჩამობრძანდა საქართველოს პირველს სადგურზედ. მან სოციალისტური გზა განაგრძო და პარიზამდეც მოაღწია. მან განვლო საქართველოს ყველა სადგურები, დღეს ის შორეულს ქვეყანაში ბინადრობს, მაგრამ იმავე გზით მიდის, მსოფლიო სოციალიზმის დამყარებით არის გართული.

ჟორდანიას გაგება ძნელია არა ქართველისათვის. გარეგნულად იგი არის პროგრამა, ესე იგი სიტყვა, ხოლო საქმე მისი არ ეგუება არც პროგრამასა და არც ტაქტიკას.

პილსუდსკი კი პროგრამას არ ებღაუჭება. როცა საჭიროა მას განზედაც ისვრის, რადგანაც ის აკეთებს ერის საქმეს. ჟორდანიამ თავის ბრძოლაში უკუ აგდო ქართველი ერის ეპროც. მეტი. იგი მარტო მუშათა წრეებზედ დაყრდნობას ჰფიქრობდა, მაგრამ ქართული საქმის დროს როცა რუსეთთან (ამ შემთხვევაში ბოლშევიკებთან) ბრძოლა იყო საჭირი ამ მუშათა წრემ მას მხარი არ დაუჭირა და ასეც რომ არ მომხდარიყო ამ მცირე ოგუფს რა შეეძლო? ხოლო პილსუდსკის—სოციალისტურის კვალიფიკაციით—რენეგატს, ვითომდა მუშათა საქმისათვისმოღალატეს—რუსებთან ბრძოლის დროსაც და შინაური აჯანყების დროსაც, მუშათა უმრავლესობაც ისევე გაჰყვა, როგორც სამხედრო პირნი, გლეხობა თუ ვაჭარ-მრეწველნი. ამასთან იყო მთელი ერი. ჟორდანიასკი გაჭირვების დროს მხოლოდ ღა საკუთრივ დანიშნული ჩინოვნიკობა შერჩა ხელში. პილსუდსკიმ იხსნა სამი ბუმბერაზი იმპერიალიზმის (რუსულის, გერმანულისა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ავსტრო-ჰუნგრეთის) მიერ ნაჯიჯგნი პოლონეთი. ამ ჯიჯგნის ამტან ერს მან ახალი, ცხოველმყოფელი წინააღმდეგობის, თავდაცვის სული შთაბერა. ჟორდანიამ კი გარეშე მტრების მიერ ნაჯიჯგნ საქართველოს იდეოლოგიური გზა გაუხსნა შეჰრიგებოდა ბოლშევიკურ ჯიჯგნას. უფრო მეტიც, ბოლშევიზმის დამყარებამდე, მენშევიზმმაც გულმოდგინედ სთელა მტრის ნაჯიჯგნი ქვეყანა.

პილსუდსკიმ პოლონეთში შრომის შესაძლებლობა შეჰქმნა და მოსახერხებელი გაჰხადა რიგიანი სოციალ-ეკონომიური არსებობა. ჟორდანია შრომას სამეფოს ჰპირდებოდა ქართველ გლეხსა და მუშას, მაგრამ შრომის ჯოჯოხეთი შეუქმნა მათ. ქართული სახელმწიფო მან უზარმაზარ პანსიონად აქცია, სადაც ყოველი პარტიული მუქთა მჭამელისათვის გაშლილი იყო სუფრა. საჭირო არ იყო ნიჭი, ოდნა: პატრიოტიზმი, არამედ საკმარისი იყო მენშევიკური პარტიის ბილეთი.

პილსუდსკის გერმანოფილური ბეჭედი დააწებეს რუსებმა, მაგრამ მან შესძლო მაქსიმუმის გამოღება მოკავშირეთა გამარჯვებულ კოალიციისაგან პოლონეთისათვის. მან ისეთ წრეებთან დაიჭირა საქმე, საიდანაც რეალური ღირებულების მიღება შეიძლებოდა. ჟორდანიამ კი რომელსაც ანტი-გერმანული და მოკავშირეთა «ფილურის» რეპუტაციაჰქონდა თავის ფსევდო ევროპეიზმი საქმიან წრეებთან პირველსავე მიკარებაში ამხილა, მის ამალასთან ერთად მან მიაშურა მე-2 ინტერნაციონალის კარებს, იქ გაატევებინა საქართველოს სული. დაშნაკელებისა, მუსავატელებისა და ქართველი ნაციონალისტების გინებით მე-2 ინტერნაციონალის გული მოიგო მაგრამ საქართველო წააგო სამაგიეროთ!

ქართული ჯარების აღლუმი ინტერნაციონალის დელეგატების პატივსაცემათ საძრახისი არ არის, მაგრამ საძრახისია, როდესაც ამ ჯარებს ბრძოლის შესაძლებლობას ართმევდა და ის სახელმწიფოს გერის როლში გამოიყვანა. ნ. ჟორდანიამ უმდიდრესი ქართული სამხედრო წრეები საქართველოს თავდაცვის საქმისათვის არ გამოიყენა. ამის ნაცვლად მთელი თავისი გულისყური და ეროვნული საღსარი პარტიულ გვარდიას გადაალია. ქართველ ერს არ აღმოაჩნდა ეროვნული ჯარი, როდესაც მას ბანსაცდელის დღენი დაუდგა, ხოლო მენშევიკების ბელადს ჰყავდა მაძღარი და პატივში მყოფი გვარდია, მაგრამ ამ გვარდიამ ვერ იხსნა განსაცდელისაგან ჩვენი ერი და თვით მენშევიკური პარტია და მისი ბელადი ნ. ჟორდანია.

პილსუდსკის მთავარი საზრუნავი თავიდანვე იყო და დღემდეა ძლიერი მხედრობის შექმნა პოლონეთისათვის. ამის შედეგია, რომ პოლონეთმა დაამარცხა საბჭოთა რუსეთი, რომელიც მას შეესია 1920წ. ხოლო ნ. ჟორდანიას მზრუნველობის ქვეშ მყოფი საქართველო რუსეთმა ძლიერ ადვილად დაიპყრო, ვინაიდან მას არ ჰყავდა ნამდვილი ჯარი, არამედ ნ. ჟორდანიას ნაცუღლუტევი გვარდია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ერი არ არის პარტია, რომელსაც წინდაწინ უკარნახებენ ცხოვრების წესებს და წინსვლის საშუალებებს. დღეს სასარგებლო ხვალ შეიძლება მავნეც აღმოჩნდეს. ამიტომ შეიძლება პოლიტიკური მოღვაწე შეცდეს დროს მიხედვით ამა თუ იმ ზომის შერჩევაში, მაგრამ ის არ უნდა შეცდეს ისეთ საშუალებაში, რომელიც არას დროს, არც ერთ შემთხვევაში არ ვარგა. ასეთი უვარგისი საშუალება გამოდგა სოციალიზმი მთლიანად. მისი ძირი, მისი ბოძი და მისი შტო და ფოთოლიც. აბსტრაქციის ხანაში ჩასახული სწავლა, აბსტრ-ქციითვე უნდა გათავებულიყო. არც ერსა და არც მის რომელიმე ნაწილს (სოციალისტები რომ კლასს ეძახიან) ამ სისტემამ ხეირი არ დააყარა. ეს გაიგო პილსუდსკიმ, დღესაც არ ესმის ჟორდანიას.

სოციალიზმის ბუნება და აგებულება ისეთია, რომ დიდი ნიჭისა და ტალანტის პატრონი მუდამ გაექცევა მას, როდესაც რეალურ ცხოვრების მოგვარებას შეუდგება.

პილსუდსკისათვის ომიც და რევოლუციაც საშუალება იყო. ომს უნდა დაეშალა ის იმპერიები, რომელთაც დანაწილებული ჰქონდათ პოლონეთის მიწა-წყალი (რუსეთი, გერმანია, ავსტრო-ჰუნგრეთი). იმპერიების დაშლას რევოლუცია მიჰყვებოდა. აქ შეუდგებოდა იგი მიზნის განხორციელებას—პოლონეთის აღდგენას. სრულს ანალოგიურს მდგომარეობაში იყო საქართველოც. ომმა და რევოლუციამ რუსეთის იმპერიალიზმიც დაამხო და ოსმალეთისაც, მაგრამ ჟორდანიას ხელმძღვანელობით საქართველომ ვერ ისარგებლა, ისიც იყო გახსნა ფილტვები ჰაერის ჩასაშვებად, რომ ჟორდანიასავე ნაწერებზე და ნაქადაგებზე აღზრდილი კომუნისტები შემოუძღვენ რუსეთს და საქართველოს თავისუფლება მოუსწრაფეს.

პილსუდსკის მოღვაწეობას წითელ ზოლად აჩნია გამარჯვების ტენდენცია. ჟორდანიამ დაიწყო დამარცხების იდეოლოგიით და მისი პრაქტიკული მუშაობა დასრულდა კიდეც ქართული საქმის კატასტროფიული დამარცხებით. საბედნიეროთ ქართულ საქმეს კიდევ ეშველება, მაგრამ ჟორდანია გათავდა საქართველოსათვის. ისტორია სწორედ ასე მოიგონებს ამ ორ მოღვაწეს—ერთი იქნება ემბლემა გამარჯვებისა, მეორე დამარცხებისა. როგორც ვიცით, გამარჯვებულს არა სჯიან. სამაგიეროდ სასტიკი იქნება განაჩენი ერისა და ისტორიის დამარცხებულისათვის.

პილკუდსკის აზრი მხოლოდ პოლონეთში ეძებდა წყაროს და პოლონეთსავე ახმარს მას. მართალია ერთიც და მეორეც ებრძოდა ბოლშევიკებს მაგრამ პილსუდსკი მათ ებრძოდა როგორც პოლონელი, ჟორდანია მათ ებრძოდა როგორც მენშევიკი. პირველი ეროვნულ ანგარიშებს ასწორებდა ამ ბრძოლით, მეორე კი პარტიულს. გამარჯვებული პილსუდსკია, დამარცხებული არის ჟორდანია. რამდენადაც მაღლა და მედიდურად გაჰშალა პილსუდსკიმ პოლონეთის დროშა, იმდენად ძირს დააქანა ჟორდა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნიამ ქართული დროშა. რამდენი ბრძოლა დასჭირდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ნაწილს ქართველობისას, რომ წითელი დროშა ეროვნულის დროშით შეცვლილიყო. ყორდანიამ წითელი დროშა ვერ გაიტანა მაგრამ ბოლშევიკებმა აუსრულეს მას ნატვრა. იგი კვლავ ააფრიალეს ქართულ სასახლის თავზედ.

რა გასაკვირია ამ მცირე და მწარე მაგალითის მოყვანის შემდეგ, რომ პილსუდსკი გამოდგა პოლონეთის მჭრელი ხმალი, ყორდანია —საქართველოს ბლაგვიც კი არა? მაშასადამე რაღა მოსატანი ყოფილა მენშევიკური არაკები ყორდანიას მებრძოლობაზედ? ბრძოლას შეძლება უნდა და ცოდნა. ეს აქვს პილსუდსკის არა აქვს კი ყორდანიას. ბუნებრივია, თუ პილსუდსკის პიროვნების გარშემო ლეგენდები წარმოიშობა, თუ მის სახელს აღნიშნავს არა თუ მარტო მშრალი ისტორიკოსი, არამედ სკოლების სახელმძღვანელოები და ხალხის ზეპირსიტყვაობაც. ამ პრეტენზიების უფლებები ოდნავადაც არ დაუმსახურებია ნოე ყორდანიას. მას არ შეუკავებია ქართველი ხალხი იმ უფსკრულის წინაშე, რომელზედაც თავგანწირულად შეჩერდა პილსუდსკი და შეაჩერა პოლონეთიც.

პოლონეთის სპეცი-პილსუდსკი არ შესცდა რევოლუციის, ინტერნაციონალის ს ეცის—ყორდანიასავით. ყორდანიასაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა დროზე საქართველოში, მაგრამ ეს ავტორიტეტი ანტიქართულ წყაროს უფრო გამოადგა, ვიდრე ქართულს. ეს აბრუნდი და ასეთი დახურდავება არ განუცდია პილსუდსკის ავტორიტეტს.

პილსუდსკი დიდსა და უხვ მემკვიდრეობას დაუტოვებს პოლონელი ერის მომავალ თაობას. ყორდანიას მემკვიდრეობის მიღებაზე კი არავფიქრობ რომელიმე ჯკუისა და ნორმალურ სისტემაზე აგებული ქართული კორპორაცია დასთანხმდეს. ეს იქნებოდა საქართველოს ხელ ახალი უბედურება. პილსუდსკიმ ყველაფერი ისა ჰქნა, რაც არ უქნია ყორდანიას და არაფერი ის არა ჰქნა, რაც ყორდანიამა ჰქნა.

ნუ დავივიწყებთ, რომ ყორდანიამ მაქსიმალურად გამოიყენა ქართველი ერი, ქართული მასა, მაგრამ ქართველმა ერმა იგი მინიმალურადაც ვერ მოიხმარა. ყორდანიამ ქართული ფინანსები აწეწ-დაწეწა, ეკონომიკა აშალა, მრეწველობას (ისედაც არ არსებულს ჩვენში) არსებობის შესაძლებლობა მოუსპო, ადმინისტრაცია ძმა-ბიჭებს ჩაბარა, მხედრობას პერსპექტივები გაუქრო და დიპლომატია პარტიული ინტერესებით შემოფარგლა ამნაირად სოციალისტური დავალება პირნათლად შეასრულა და ემიგრაციის გზასაც გაჰყვა. ცხადია აქვე დაუსვამს წერტილს ნ. ყორდანიას მოღვაწეობას მემატიანე. ასეთია პილსუდსკისა და ყორდანიას მსგავსება და განსხვავება.

ი. ხანანაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მწარე ფიქრები.

ქართველს სამშობლო მიწა-წყალი უყვარდა და ძლიერაც უყვარდა. ბუნებრივია: ორ ათეულ საუკუნეზედ მეტია, რაც ნილ-ეფრატის ნაპირებიდან აშლილმა ქართველმა ტომებმა კავკასიამდე მოაღწია. ზურგი კავკასიონის ქედს მიაბჯინა, მის ფერდობზედა და შავი ზღვისგაშლილს ნაპირებზედ დაბინავდა. ამ კუთხეულს მიწა-წყალზედ მოხდა მოსულ მონათესავე ტომთა საბოლოო შეთვისტომება-შესისხლხორცება და ქართველი ერის თანდათანობითა და უამრავი ტკივილების განცდით, დაბადება-ზრდა-გაძლიერება. კავკასიაში ჩაისახა, კავკასიამ შვა და თავის მკერდ-ძუძუზედ აღზარდა ერი ქართველი. სჩანს მასზედ ძლიერი, საამაყო და სადიდებელი რადგან თვით მშობელს თვის მიერ შობილის სახელი—საქართველო დარქმევია. აქ მოინათლა სიყრმეშივე ქართველი ერი. აქ შეჰქმნა სახელმწიფო, სამხედრო, სამოქალაქო და სულიერი განვითარების მთელი ისტორია მთელი დიდება. ვინ ასწონის და აწყავს კეთილშობილ შრომაში ამ მიწაზედ ქართველისაგან დაღვრილს ოფლს, რომლის ნაყოფია ამ ქვეყნის ზედაპირის დამუშავებული სახე, მასზედ მთელი ნაშენობა. ვინ ასწონის ან აწყავს ამ მიწა-წყალზედ ქართველის მიერ დაღვრილ სისხლს, ან ამ მიწა-წყალზედ ქართველის მიერ გაწეულ სულიერ ზრუნვას-შრომას, განცდილს ფიქრსა და ტანჯულს გონებას. ამის უხილავი საწყავია სამშობლოისა და ერის, ჩვენს თაობამდე მოტანილი, ფეხზედ მდგარი, სიცოცხლით აღსავსე და საამაყო არსებობა.

ვინ დასთვლის ამ მიწა-წყალზედ ამ გრძელ საუკუნეთა გასწვრივ დახოცილ და მკვდარ ქართველთა რაოდენობას. ქართველთა ეს უთვალავი მილიონები მიწად იქცა და სამშობლო ქვეყანას ზედაპირად გადაეკვრა. ქართველი, საკუთარი დედის საშუალებით, ღვიძლი შვილია ამ მიწა-წყლისა. ის ისევე არის ამ უკანასკნელის ნაკვთი, როგორც მასზედ ამოსული მცენარე-ხე.

იშვიათია ერი, რომელსაც იმდენი სისხლითი მსხვერპლი შეეწიროს თავისი ეროვნებისა და სამშობლოს დასაცავად, რამდენიც ქართველს. ეს თუ სამშობლოს უაღრეს სიყვარულს ადასტურებს სამშობლოს სიყვარულსავე ამაგრებდა და ახმტკიცებდა. იშვიათია ადამიანი, რომელიც იმ ზომად იყოს შესისლხორცებული და გულ-მიმაგრებული სამშობლოზედ რამდენათაც ქართველი. მისი სამშობლო ქვეყნიდან მოგლეჯა სახიფათოზედ სახიფათო ოპერაციაა. საქართველოს ბუნების შვილი მხოლოდ საკუთარ ნიადაგზედ საკუთარი ჰაერით სუნთქავს, სცოცხლობს. ქართველი კაცის ბუნება უაღრესად განთვისებულ-განსხვავებულია. უცხო ქვეყანაში იგი ვერ ხარობს: ან დატყვევებული ბეღურასავით გული უსკდება, ან უცხო ნიადაგზედ გადანერგულ სათუთ მცენარისავით ხმება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



«სადაც ვშობილვარ გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის იმათი კუბოს ფიცარი»

სთქვა ქართველმა და ისიც—რომ მისი სამშობლო იქ არის,
«არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა
არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა»

ესეც იმავე ქართველმა სთქვა და არც არას ადესგაუცვლია.

«სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა»

და ჭეშმარიტად, რომ არსად არ არის.

«სამიათას წელზედ მეტი გვიცხოვრნია, როგორც ერსა
მრავალს შავს დღეს მოვსწრებივართ, მაგრამ ბევრსაც ბედნიერსა.
უსიკვდილოდ არვის ეთმობთ ჩვენს სამშობლოს მშვენიერსა
გვიმღერნიაკვლავაც ვიმღერთ ჩვენს ტკბილს მრავალ-ჟამიერსა»

ესეც ხომ ქართველმა სთქვა.

ამოდენი საუკუნენი სჯულიან თუ უსჯულო მტერთაგანრკალ-შემო რტყმული და სისხლ-ნადენი სამშობლო რომ დაცულია და შენარჩუნებული—ესეც ხომ ქართველმა ჰქმნა, ხოლო მისივე სისხლით ნაწერმა ისტორიამა სთქვა. ქართველი ერის მთელი ეს გრძელი მატიანე სამხედრო მოქმედების ისტორიაა: ურიცხვ მტერთა თავდასხმა, აწიოკება, ნაწილობრივი თუ სრული დაპყრობა და დაცემულ თავისუფლების აღსადგენად ბრძოლები. მტერთა განუწყვეტელი შემოტევები ქართველი ერის გასაფანტავად, გადასაგვარიბლად, მის მიწულიდან ასაყრელად მიტოვებული გაპარტახებული ქვეყნის დასაპყრობად და სამშობლო მიწაზედ გამაგრებული ქართველი ერის თავდადებული თავდაცვითი ბრძოლები.

გამარჯვებული თუ დამარცხებული ერი თავის მამულზედ რჩებოდა თუ გამარჯვებული მტერი ამ ბედნიერებას არ წაართმევდა და—ვით ომის ნადავლს ტყვედ არ გაიტაცებდა. ასეთი მაგალითი ბევრი ახსოვს ქართველი ერის წამების ისტორიას, ხოლო თავისი ნებით, დაპყრობილი სამშობლოს მიტოვებისა და გაქცევის—იშვიათად.

1921წ. ბოლშევიზმმა-მენშევიზმი, ხოლო რუსეთმა საქართველო დაამარცხა და ხელმეორედ დაიპყრო. საქართველოს შემთხვევითმა მეთაურმა ჟორდანიამ მთავრობა მისი მოხელეებითა და მენშევიკთა პარტიის «სასულიერო წოდება» გემზედ დასვა და შავს ზღვაში შემოაცურა, მთავრობამ ბრძოლაში ჩაბმული ერი ხმელეთზედ მშარალად მიატოვა. ქართველმა ერმა ჟორდანიას მთავრობის მეთაურობით მთელი საქართველო დაჰკარგა. ხოლო ამ მთავრობის მიერ მიტოვებულმა ერმა, თუ მთელი საქართველო ვერა, ბათუმი მაინც დაიბრუნა. ჟორდანიამ ერს ზურგი აჩვენა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხოლო ამ ზურგზედ, შულავერიდან ბათუმამდე შიშველი ფეხით მოსული უუმძიმესი პასუხისმგებლობა აეკიდა. და Ოვა-მადლის განაჩენით ეს გემი თუ არ ჩაიძირა, ალბად იმის წყალობით, რომ მასზედ მთავრობის მიერ ერთხელ კიდევ უსარგებლოდ მოტყუილებული ბევრი ქართველი მეომარი იჯდა.

იმე ოეთის მეფე სოლომონმაც ჩაიდინა ასეთი ისტორიული შეცდომა. ის ტრაპიზონი მთაზედ დაიმარხა. ქორდანიამ ეს საფლავი გემიდან ალბად დაინახა.

ქორდახიას იდეა შემოუძღვარ უსისჯარს საქართველოში, თვით ქორდანია კი ქართველ ერს ემიგრაციისაკენ გამოუძღვა. მუდამ უკუღმართი გზით მავალს წაღმართ გზაზედ ფეხი როგორ გადაუცდებოდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ბათუმის დადგენილებით მთლიანად დარჩა საქართველოში და ქართველი ერის ჭირ-ვარამი გაიზიარა.

ეს ამბები ათი წლის წინ ხდებოდა, ხოლო ამავე ათი წლის ბოლოდან რომ თვალს გადაავლებთ ჩვენი ერის მდგომარეობას, ძალა უნებურათ ქართული ემიგრაციის საკითხიც მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. ემიგრანტობამ—სამშობლოს მიტოვებამ და გამოქცევამ ავადმყოფური ხასიათი მიიღო. დღითი-დღე იზრდება ქართული ემიგრაცია. დღითი-დღე მცირდება ქართველთა რიცხვი სამშობლოს მიწა წყალზე. ნაწილს ქლეტენ, ნაწილს ძალად სამშობლოდგან ასახლებენ, ნაწილიც თავისი ნებით გამორბის. სოციალისტურ საქართველოში შექმნილი მატერიალური და სოციალური მდგომარეობა უაღრესად ხელს უშლის მოსახლეობის ბუნებრივს ზრდას: ქორწინებას და დაბადებას. უაღრესადვე იზრდება სიკვდილის შემთხვევები. სამშობლოს მიწა-წყალი იცლება და ამ გაპარტახებულსა და დაცლილს მამულს ჩვენდამი მტრულად განწყობილი უცხო ერები იკავებენ. მოსალოდნელია, რომ მომავალში რეალური მოსახლეობის პრინციპით მთელს საქართველოს შეგვედაონ.

აი მწარე სინამდვილე და მისგან აღძრული მწარე ფიქრები.

გლეხობა ბუნებრივად მიჯაჭვულია მიწაზედ, ყველაზედ უძრავია. ის არსებითად ერის ყველა დანარჩენს წრეებზედ უფრო პატრიოტია, თუმცა ამ საგანზედ ყველაზედ ნაკლებს ლაპარაკობს. ის ეროვნულ არსებობისა და თავდაცვითი ბრძოლის საიმედო ძალაა. ჩვენს მიერ მიღებული ცნობებით დღეს ეს გლეხობაც იწყებს სამშობლო მიწა წყლის მიტოვებას და გამოქცევას. ოსმალეთში გადმოსული 50 გლეხი, პირველი მაუწყებელია ამ ეროვნული უბედურებისა.

საუკუნოებით სამშობლო მამულზედ დაფუძნებული გლეხობაც კი სტოვებს მამულს და ემიგრაციაში გამოდის. ქართველი ერი საქართველოდან იყრება, საქართველო იცლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დროა და აუცილებელია ემიგრაციის საკითხი დავაყენოთ, რადგან ამ ზომად ფართო ემიგრაცია ხელს უწყობს ქართველი ერის მის მიწა-წყლიდან აყრას. აქ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი აღიძვრება. მაგრამ მხოლოდ უმთავრესთ შევეხოთ: რას წარმოადგენს, ანროგორის შემადგენლობის არის ჩვენი ემიგრაცია, და რა არის ამის მიზანი? როგორც ვსთქვით, ემიგრაციის გზა ქორდანიამ თავის ამალით პირველმა გახსნა, ვითომდაიმიტომ, რომ მან ქართველი ერის სუვერენული უფლებები გადაარჩინა და სამშვიდობოს გაიტანა! ამაზედ ბ. გვაზავამა სწეროს. ეს იმას ემარჯვება. ჩვენ კი იმ უდაო ჭეშმარიტების თქმა გვემარჯვება, რომ მთავრობამ ხელში ჩაუგდო რუსეთს საქართველოს მთელი მიწა-წყალი, მთელი ერი და გამოიქცა იმ დროს, როცა საქართველოს სუვერენობა სისხლის ზღვაში იხრჩობოდა. ეს სუვერენობა, თუმცა მომაკვდავი, მაგრამ მთელი ერის მაცოცხლებელი ძალა დამარცხებული ქართველი ერის და საქართველოს გულშივე დარჩა. სინამდვილე ეს არის და ისიც სინამდვილეა, რომ ქორდანიამ თავისი ამალით საკუთარი სული გამოიტანა და საკუთარი პარტიის ნაწილი გადაარჩინა. მას სრული უფლება ჰქონდა ასე მოქცეულიყო, როგორც მარქსისტს. საკვირველი ის არის, თუ რათ გამოეკიდა საქართველოში მის მიერ მოპატიჟებული მარქსი ქორდანიას, ან რათ გამორბოდა უკანასკნელი ჩვენი საეკლესიო და ეროვნული ძვირფასი ქონებით დატვირთული. ეროვნული ძვირფასი განძეულობის საქმე აქ სიტყვამ მოიტანა, თუმცა ქორდანიას მთავრობას იმდენად არ უყვარს ამაზედ ლაპარაკი, რომ თავის საკუთარ ორგანო «ბრძოლის ხმას», რომელმაც ამ განძეულობის შესახებ ორიოდე სიტყვა წამოაყრანტალა, თავში ჩაჰკრა და ამ ბრძოლის დროს რამოდენიმე თვით ხმა ჩაუწყვიტა.

ათი წელიწადი შეუსრულდა ქართულს ემიგრაციას. მისი რაოდენობა ძლიერ გაიზარდა. მისი შემადგენლობა მრავალფეროვანია. ქორდანიას მოხელეების გარდა აქ არიან ნამდვილი მებრძოლი ელემენტებიც, რომელნიც წლობით იქ გაწეული ბრძოლების შემდეგ, იძულებულნი იყვნენ სამშობლო დაეტოვებინათ. აქ არიან ისეთებიც, რომელთაც არივითარი ხიფათი არ მოელოდათ საქართველოში მაგრამ მაინც დასტოვეს სამშობლო, ზოგმა სწავლის და ზოგმაც სხვა მომიზეზებით. ემიგრანტობა მოდათ იქცა და ამიტომ ეროვნულად საზიანო მოვლენად. ჩვენ გვესმის საქართველოში შექმნილი მდგომარეობის სიმძიმე, მაგრამ სწორედ ამ მძიმე მდგომარეობას უნდა გაძლება და ატანა. არც აქ, ემიგრაციის მდგომარეობაა მასზედ ბევრად უფრო მსუბუქი: აქ ცხოვრების მძიმე პირობებს ბევრი ვერ უძლებს. სულ სხვა ცხოვრებისათვის მომზადილი ჩვენი ახალგაზრდობა ვერ იტანს ქარხნისა და მაღაროების მძიმე შრომას. ბევრი ჩვენთაგანი ამ მუშაობაში დამარცხებული თუ დაავადებული და მკვდარი, მივაბარეთ უცხო მიწას. ძლიერ გახშირდა თვითმკვლელობა. გუშინაც ერთი დიდი ქართული ოჯახის შვილი ტრაღიკულად თავმოკლული უბრად მივაცილეთ უცხო საფლავამდე. სად არ დაიდგა ქართველის ფეხი და სად არ დაიყარა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქართველის ძვლები. სამშობლოდან გამოქცეული ქართველობა გაიფანტა აზია-ევროპა-აფრიკა-ამერიკის ქვეყნებში.

რა კეთდება ამ ზომად გაშლილს ემიგრაციაში საქართველოს განთავისუფლებისათვის?... განმათავისუფლებელ ბრძოლის შესახებ თავიდანვე ყალბი შეხედულება გამეფდა. ბრძოლიდან გამოქცეულმა ქორდანიას მთავრობამ ჩაიგდო კვლავ ხელში ეროვნული ბრძოლის ხელმძღვანელობა. ქართველ ერს თავისი საკუთარი იმედი დაუკარგა და მისი მომავალი სხვის იმედებზედ დაამყარა. ქართველ ერს ემიგრაციისაკენ უჭირავს თვალი. რომელი ემიგრაცია ყოფილა, რომ დაპყრობილი ერი გაენთავისუფლებინოს კმარა ერის ასე სინიკურად მოტყვილება. ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა უთხრათ ქართველ ერს ის ჭეშმარიტება, რომელიც არასოდეს არ დაუმალია ერ დემ. პარტიას: საქართველოს დამარცხებული სუვერენული უფლება ისევ საქართველოშია და მისთვის მებრძოლი და მისი აღმდგენი ძალაც და შესაძლებლობაც იქ დარჩენილ ქართველ ხალხშია. და ის, ვინც იქედან გამოიქცევა ამ ბრძოლასაც მოსწყდება. რას გააკეთებს ემიგრაცია საქართველოს რომდრო დაუდგეს და მტრისწინააღმდეგ აღსდგეს? მხოლოდ იმას, რ. მკრებას გამართავს და რეზოლუციას გამოიტანს. ბევრი «დიდი» პოლიტიკოსი და პატრიოტი საბჭოების შიშითა დარიდით ამ კრებიდანაც კი გაიქცევა. ასეთი მაგალითი ყოფილა და ამიტომ გამწარებულმა სიტყვამ გვაზავა «ფრონტიდგან» აქ ყურით მოათრია.

ჩვენს ემიგრაციაში «ფრონტი?» არის, მაგრამ ამ ფრონტში ისე არ შედის ჩვენი ემიგრაციის მებრძოლი ნაწილი, როგორც ამ «ფრონტში» შემავალი მეთაურები არ შედიოდენ საქართველოში არსებულ «ეროვნულ ფრონტში», აქ «დამოუკიდებელი საქართველოს» არის მაგრამ თავისუფალი პრესის ( სტორიას არ ახსოვს ისეთი ბატონ-ყმური დამოკიდებულება როგორიც ამ საცოდავ გაზეთსა და რამიშვილის ურთიერთობაში არსებობს. აქ მთავრობაც არის რომელსაც ხან «ეროვნულს» უწოდებენ და ხან «მენშევიკურს», თიხის ქოთანივით ხან მარცხნივ გამოაბამენ ყურს, ხან მარჯვნივ. მაგრამ მიუდგომელმა ისტორიამ მას ორივე ყური დააგლიჯა.

ერთ ცხოველს ყურის მოჭრა აავებს, მთავრობას თურმე ამაგრებს! მთელს მსოფლიოში არ არსებობს ისეთი მყარი და უძრავად დაფუძნებული მთავრობა, როგორც ქორდანიას მთავრობაა. ეს მენშევიზმის მიღწევაა! აქ «ბრძოლის ხმაც» არის და ბევრი სხ. რამეც. მაგრამ ნამდვილი ეროვნული ფრონტი, დამოუკიდებელი საქართველო, უხილავი სულიერი მთავრობა და ბრძოლაც იქ. საქართველოშია და ამ ზომად შორს გამოქცეულ ემიგრაციას ამ ბრძოლის ხმაც არ ესმის.

ამის შემდეგ ვიკითხოთ – რა საჭიროა ასეთი ფართე ემიგრაცია? და შეიძლება თუ არა ასე მასიურად სამშობლოს დატოვება მიჩნეულ იქმნას ეროვნულის თვალსაზრისით მიზანშეწონილად. ჩვენის აზრით უნდა შესწყდეს ასეთი მასიური ლტოლვა ემიგრაციისაკენ. ემიგრაციაში მყოფმა პო

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლიტიკურმა პარტიებმა უნდა მიმართოს ქართველ ხალხს და მოუწოდოს მას სამშობლოშივე დარჩეს. გემზედ დაბადებულს ამერიკელს შეუძლიან მეორე სამშობლო ჰქონდეს. თავის კურთხეულ მიწაზედ დაბადებულს ქართველს მხოლოდ ერთი სამშობლო აქვს – საქართველო. სოც. დემ. ქადაგება, თითქოს პროლეტარიატს სამშობლო არ ჰქონდეს, არ გამართლდა. მხოლოდ აღმოჩნდნენ ამ მქადაგებელთა შორის სულით და ეროვნული შეგნებით გაპროლეტარებულნი, რომელნიც ებრძოდნენ და დღესაც ებრძვიან სამშობლოს კულტს. სამშობლოს იდეამ საბოლოოდ გაიმარჯვა. ბევრი ემალება მის მხურვალე სხივებს, ბევრს ქეჯნის ჯერ კიდევ შერჩენილი ეროვნული სინიდისი. განსვენებულმა ჩხეიძემ ვეღარ გაუძლო მას, ჟორდანია-რამიშვილს მოჰპარა ის გალესილი დანა, რომლითაც საქართველოს ყელი გამოსჭრეს და ყელი გამოიღადრა. თუმც მისი უკანასკნელი სიტყვა ისტორიას დაუმალეს, მიგრამ მას ამხელს მისი სისხლიანი ბალიში.

სამშობლოს გამარჯვებულმა იდეამ რომ ხორცი შეისხას, ჩვენმა თაობამ უნდა გააგრძელოს ეს დაწყებული ეროვნული ბრძოლა. ეს საქართველოშივე ხდება, ქართველი ხალხი იქ არის და იქვე უნდა დარჩეს. და ჩვენ, სამშობლოდან გამოქცეულებს ამ ბრძოლისაკენ გვიხმობს ჩვენი სინიდისი. ნეტავი მას ვინც სამშობლო საზღვარს, სადაც მან ეროვნული მე ბრძოლის ღირსება დასტოვა, აქედან გადაივლის, ამ ღირსებას კვლავ აიხსამს და სადაც მისი აკვნის ფიცარი დამპალა ისიც იქ დაეცემა.

ე. ლ. პატარიძე.

---

## «დამოუკიდებელი კავკასია»

პარიზში გამოდის კავკასიური კონფედერატიული აზრის ორგანო, «დამოუკიდებელი კავკასია». დღემდე გამოსულია ამ ჟურნალის ორი ნომერი, მაგრამ ესეც საკმარის წარმოდგენას უქმნის მკითხველს ამ ორგანოს შესახებ. უკვე ეხლავე შეიძლება ითქვას სრულის რწმენით, რომ ეს ორგანო ფრიად მნიშვნელოვანს მოვლენას წარმოადგენს კავკასიის ერთა შეთანხმებული პოლიტიკური აზროვნებისა და მოქმედების ჯერ კიდევ გაუმართავსა და გაუკაფავს გზაზედ.

ეს ჟურნალი მხოლოდ ამ ერთად ერთს საქმეს ემსახურება—კავკასიის ერთა სახელსწიფოებრივ სუვერენობისათვის ნაწარმოებ ბრძოლის მომწყვდევას ერთს საერთო კავკასიურს კალაპოტში, რომ გაერთიანებული ძალებით მიღწეულ იქმნას ამ ერთა პოლიტიკური მიზნები და მომავალშიაც საერთო მიზნები განმტკიცებულ იქმნას და დაცული ასევე საერთო ძალითა და საშუალებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟურნალი გარკვეულად და ახდილად ღებულობს კავკასიის რესპუბლიკათა კონფედერაციის პლატფორმას. მართალია კონფედერაციისპლატფორმა ამ ჟურნალის გამოსვლამდეც იყო მიღებული კავკასიისერთა პოლიტიკურს წრეებში, მაგრამ ის ცრასოდეს ყოფილა გამოტანილი ასე მტკიცედ და გარკვეულად ამ ერთა პოლიტიკური აზროვნებისა და მუშაობის სარბიელზედ. კონფედერატიული აზრი და მცნება წითელი ხაზით არის გატარებული ჟურნალის ყველა წერილებში და ეს მას ფრიად შეთანხმებული აზროკნების სახეს აძლევს.

ჟურნალში მოთავსებულია ფრიად საყურადღებო წერილები ბბ. შალვა ამირეჯიბის, დავით ვაჩნაძის, ტამბი ელეკოტის, მუსტაფა ჩოკაევის, აზერის, ნარტანის, სკალკოვსისა და სხ.

ჩვენმა პარტიამ და მისმა გამოცემებმა ჯერ კიდევ 5 წლის წინედ და აყენეს კავკასიის კონფედერაციის იდეა და ამით ისინი განაგრძობენ ჩვენი სახელოვანი მესამოციანთა თაობის საქმეს. შემდეგ ეს იდეა გაიზიარეს აზერბეიჯანის, ჩრდილო კავკასიის, საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკურმა წრეებმა და ყოველივე ამის შემდეგ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ «დამოუკიდებელი კავკასიის» ამ ზომად მტკიცე და გარკვეული გეზი კიდევ უფრო განამტკიცებს ამ იდეას კავკასიის ერთა შორის და ხელს შეუწყობს კავკასიის ერთა ყველა ძალების გაერთიანებისა და განმტკიცების საქმეს. ჩვენი ოგანო სრულს გამარჯვებას უსურვებს თავის ახალს მოძმეს ამ მძიმე, მაგრამ დიდათ მნიშვნელოვანს საქმეში.

---

## საერთო კავკასიური დღე.

გასული მაისის 31-ს chateau de l'Abbaye-au-Bois-ში, ჟურნალ დამოუკიდებელი კავკასიის» თაოსნობით გაიმართა საერთო კავკასიური დღე, კავკასიის რესპუბლიკათა გამოცხადების წლის თავის აღსანიშნავად. ეს პირველი შემთხვევაა, რომ საფრანგეთში მყოფ კავკასიის ემიგრანტებმა ერთად და ერთ დღეს იდღესასწაულეს აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის და ჩრდილო კავკასიის დამოუკიდებლობის წლისთავი.

ჟურნალ «დამოუკიდებელი კავკასიის» რედაქციას ამ საერთო კავკასიურს დღესასწაულზედ წარმოადგენდნენ: შ. ამირეჯიბი, ასლანიანი, ელიკოტი და დ. ვაჩნაძე.

დაესწრნენ: აზერბეიჯანის პარლამენტისა და დელეგაციას თავმჯდომარე ალი მარდანბეგ თოფჩიბაში, ჩრდილო კავკასიის საგარეო საქმეთა მინისტრი და დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე—ჰაიდარ ბეგბამატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხური პარტიის «დაშნაკცუტუნის» წევრნი: ნავასარდიანი, ტოროსიანი, ოსმალეთის სომეხთა წარმომადგენელი ბ. მარტინიანი, ტაფლიანი და სხვ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლნი; ა. ასათიანი, რ. გაბაშვილი, ი. ხანანაშვილი, ს. ზალ"დასტანიშვილი, გ. ჯაჯიაშვილი და სხ. საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი წარმომადგენელი უცხოეთში ა. დეკანოზიშვილი, საქართველოს შეფიცულთა წარმომადგენელი ა. სულხანიშვილი, უკრაინის ემიგრაციის წარმომადგენელნი ბ. ბ. ერემეევი და ჩეხოვსკი და სხვანი.

დიდი დარბაზი საფრანგეთის მწერლობის ისტორიაში ცნობილის შატოსი მორთული იყო კავკასიის რესპუბლიკათა და საფრანგეთის დროშებით.

მოსმენილ იქმნა, რედაქციის სახელით ბ. შ. ამირეჯიბის მიერ წაკითხული მოხსენება კავკასიის რესპუბლიკათა კონფედერაციის შესახებ. ამავე საკითხზედ ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს კავკასიის ერთა და სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებმა: ალი მარდანბეგ თოფჩიბაშმა, ბ. ასლანიანმა (სომხეთის «დაშნაკცუტუნის პარტია) ჰაიდარ ბეგ ბამატმა, ალ. ასათიანმა და მ. ერემეევმა (უკრაინა). ბ. ალიმარდან ბეგ თოფჩიბაშევის წინადადებით დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ოვაციათ გაუმართა კავკასიის რესპუბლიკათა ერთად თავმოყრილ დროშებს, ხოლო ბ. ალ. ასათიანმა წინადადებით მიმართა კრებას, რომ ამიერიდგან კავკასიის ერთა წარმომადგენლების ასეთი შეხვედრა ხდებოდეს ამგვარი დღესასწაულების გარდა, პერიოდულადაც.

მანდილოსნებიდგან კრებას დაესწრნენ: კნ. ელენე აფხაზი, ქ-ნი თოფჩიბაში, ქ-ნი ასლანიანი, ქ-ნი სულთანი, ქ-ნი ერემეევისა, ქ-ნი ელიოტი, ქ-ნი დეკანოზიშვილი, ქ-ნი სიამაშვილი, ქ-ნი გაბაშვილი, ქ-ნი რები, ქ-ნი ზალდასტანიშვილისა და სხ.

კრებას შემდეგ დამსწრე საზოგადოებას მიერთვა ჩაი.

დაწვრილებითი აღწერა ამ მნიშვნელოვანი დღესასწაულისა, ისე როგორც მოხსენება და სიტყვები დაიბეჭდება «სამშობლოს» შემდეგ ნომერში.

---

## „გლეხების რეაქციის დასაწყისი"?

### 1. ისევ კლასთა ბრძოლა?*)

ჩვენი ეროვნული ცხოვრების მოკლე განხილვამ დაგვანახვა, რომ ფრიად მცირე ძალისა და მნიშვნელობის იყო ჩვენში საქართველო წარმო-

*) პარიზში, 15 მარტს წაკითხული მოხსენების დასასრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ება და ამის მიხედვით სუსტი და მცირე რიცხოვანი კაპიტალისტთა და საწარმოო მუშათა წრე. როგორც ეკონომიური მნიშვნელობით, ისე რიცხვითაც საქართველოში სასოფლო მეურნეობა და სოფლის მეურნენი ბატონობდენ უკანასკნელ დრომდე, როგორც მუდამ წინეთ. მთელი ერო ვნული დოვლათის ოთხ მეხუთედზედ მეტი აქ იყო და მცხოვრებთა რიცხვიც არა ნაკლები. დანარჩენი ერთი მეხუთედის უდიდეს ნაწილს წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და სხ. და სხვა სახის მოხელენი შეადგენდა და დანარჩენს მცირედს —მწარმოებელნი და მუშები.

მაგრამ ვინც გადაავლებდა თვალს ჩვენს პოლიტიკურს ცხოვრებას უთუოდ იფიქრებდა, რომ სწორედ ეს კაპიტალისტთა და პროლეტართა მასსები იყვენ ერთი ათად სხვებზედ უფრო ძლიერი რიცხვითა და მნიშვნელობით. კლასთა შეურიგებელ ბრძოლაზედ იყო გაუთავებელი წერა, კამათი, პროპაგანდა და ამ კლასთა ბრძოლის დროშის ქვეშ სწარმოებდა მრავალი ბრძოლა და რუსეთის სამი დიდი რევოლიუციის გამოძახილი.

ასეთი ვითარება, რასაკვირველია არ იყო ნორმალური, მაგრამ მისი მიზეზებიც არ იყო სავსებით გაუგებარი. შეუგნებელი და განუვითარებელი პირი ხშირად ისეთს წარმოდგენას შეიმუშავებს თავის თავზედ თუ ინტერესებზედ, რომელსაც არავითარი მსგავსება არ ექნება სინამდვილესთან. სუსტსა და გაუწვრთვნელს ეროვნულ ერთეულშიდაც არის შესაძლებელი ასეთივე მოვლენა. სხვა და სხვა საშინაო თუ საგარეო მიზეზების მეოხებით ამოიკვიატებს ის ერთს რომელიმე ყალბ აზრს და მას არ მოიშორებს სანამ მრავალჯერ არ წაიტეხს ფეხს. ასეთს საფუძვლებზედ წარმოიშვა ჩვენი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილების გატაცება რევოლიუციური ილიუზიებით. რუსეთის რევოლიუციების ფსიქოლოგიური გავლენა და ჩვენი შინაური ვითარების მრავალი უკუღმართობა ჰკვებავდა ამ რევოლიუციურ და სოციალისტურ გატაცებებს, სანამ მათი ავ-კარგი საბოლოოდ და სრულად არ გაშიშვლდა მთელი ქვეყნის წინაშე. ნაჩქარევად და ზერელედ იყო მიღებული ხალხის მიერ ეს აზრები, ხოლო მათი აღმოფხვრა მისი გულიდან უკვე ხანგრძლივი, ღრმა და მწარე პროცესის შედეგია. ამის გამო ხალხის გაჯანსაღება და რევოლიუციურ ფსიხოზისაგან თავის დაღწევა მტკიცეა და საფუძვლიანი.

გაცილებით უფრო ძნელად გამოსაცნობია მეორე მოვლენა—ახროვნების ევოლიუცია, თუ გაყინვა იმ წრეებისა, რომელთაც შეიტანეს ხალხში ეს ბედნიერი აზრები: კლასთა ბრძოლა, სოციალიზმი, კომუნიზმი და სხ.

როდესაც მათ ეს ქადაგი დაიწყეს—კლასთა ბრძოლის გაჩაღებით უნდა დამყარდეს ბედნიერება ქვეყნიერებაზედო, ეს კლასები არ გვყავდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მათი ნამდვილი მნიშვნელობით, მაგრამ იყო ერთგვარი მათი ჩანასახი. ხოლო ჩანასახის წარმოდგენა დასრულებულ სხეულად არ არის შეუძლებელი. ამის შემდეგ მეოთხედმა საუკუნემ განვლო. კლასთა ბრძოლისაგან გაბედნიერების იმედისა დამოლოდინისა, მრავალი ბრძოლებისა და რევოლიუციებისა. ბედნიერება ამა ქვეყნად ვერ დამყარდა, მაგრამ ამ ბედნიერების საწინდარი—კლასები აღგვილ იქმნენ ცხოვრებიდან, ვით შემოდგომაზედ ჩამოცვენილი ფოთოლი. თავისუფალი საწარმოვო მუშები სახელმწიფო მოხელეებად, უფრო სწორი იქნება, სანახევროდ მონებად იქნენ გადაქცეული. მათი მდგომარეობა ერთი ორად გაუარესდა გაუმჯობესების ნაცვლად. კაპიტალისტთა მცირე ჯგუფიც გაქრა. ხოლო ამ კლასთა ბრძოლის მოციქულნი ძველის გატაცებითა და დაჟინებით, კვლავ ამ კლასებზედ და კლასთა ბრძოლაზედ გაჰკივიან. ბევრი ამას ისე ხსნის, რომ ქვეყნის გაღარაკების გამო მათ ამ მცნების საზომი გამოსცვალეს მხოლოდ. წინეთ რომ მემამულეებზედ გაჰკიოდენ, ეხლა მის ადგილზედ გლეხს მისდგენ, ვისაც კი სულის ამოთქმა შეუძლიან. მექარხნეები აღარ ჰყავთ, მაგრამ კაპიტალისტთა კლასად წვრილ ხელოსნებს ასაღებენო. ეს უთუოდ სწორეა, მაგრამ მხოლოდ ამ წრის ერთი ნაწილისათვის. დანარჩენები ისეთს ჭკუაზედ არიან, რომ ხვალ კულაკი რომ აღარ ეყოლებათ, მის ცხენს დაარქმევენ ბურჟუაზიასა და კაპიტალისტს. ეს უთუოდ ერთგვარი ტვინის ავადმყოფობის ფორმაა. უთუოდ მათ თავიდანვე თავის ტვინის სითხეში ჰქონდათ მოთავსებული ეს კლასები, თორემ სინამდვილეში ის მათ არ შეუსწავლიათ. ცხოვრებაში მათი ნატამალიც აღარ დარჩა, მაგრამ მათი ტვინის სითხეში კიდევ არსებობს. ისე რომ მათთვის არაფერი გამოცვლილა. ქკელებურადაა ყოველივე—კლასები—სისხლის მსმელნი და მაშვრალნი, მათი შეუპოვარი ბრძოლა და სხ. და სხ. ყოველივე ეს ისევე არსებობს მათს ავადმყოფ ტვინში, როგორც წინეთაც იყო. ამის მსგავსი ბაიშობის დროს უთუოდ ბევრს გამოუცდია. როდესაც მოწაფეობის ხანაში კლასთა ბრძოლის თეორიებს ვეცნობოდით, ჩვენ ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა პროლეტარიატსა და კაპიტალისტებზედ. სისხლის მსმელ კლასად ჩვენ მასწავლებლები გვყავდა დასახული, ხოლო მაშვრალთა კლასად, ჩვენი თავი, მოწაფეები, ნ. ჟორდანია ეხლაც აგრე იქცევა. ერთს თავის ბროშურაში ის კაპიტალისტთა კლასად საქართველოში კომუნისტურ პარტიას აცხადებს, ხოლო პროლეტარიატად—დანარჩენ ერს. ბოლშევიკები უთუოდ ასევე ჰფიქრობდნენ მენშევიკებზედ, როდესაც ისინი იყვენ მათს ადგილზედ. ვინც ასეთი სენით არის შეპყრობილი, მისი გაჯანსაღების იმედი ნაკლებია.

როდესაც ხალხის დიდი ნაწილი შეპყრობილი იყო რევოლიუციური ფსიხოზით, კლასთა ბრძოლის იდეაზედ ტვინ ნაღძობი ხალხი ბუნებრივად მისი სულისკვეთების იარაღი იყო. ეხლა ძდგომარეობა დიდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა



არის შეცვლილი. ხალხში აშკარად მტრული განწყობილება წარმოიშვა ამ რევოლიუციურ სოციალიზმისადმი და ეს განწყობილება თანდათან ღვივდება.

მართალია სოციალისტური წრეების საშუალო და დაბალი ფენები ბუნებრივად განიცდიან ხალხის ამ ახალი მასიური განწყობილების გავლენას და ნაწილი მას უერთდება, ხოლო ნაწილი ნეიტრალ და პასიურ მდგომარეობაში ვარდება. ხოლო პატენტიანი სოციალისტების უმრავლესობა ჯერ კიდევ თავს იმაგრებს და ამ ახალი ვითარების გარეშე რჩება. ვისაც ტვინი საბოლოოდ აქვს შებრუნებული, იმათი საქმე ნათელია, ხოლო არიან ისეთებიც, რომელნიც ნათლად ხედავენ, რომ ყველა მათი სოციალიტური იალქნები საბოლოოდ დაფხრეწილია ცხოვრების ქარი შხალის მიერ, მაგრამ კიდევ ამ თავის რევოლიუციური დროშის ნაგლეჯებს ეპოტიხები. ნ. მათ ვერ გაუბედავთ დაღუპული საქმის ახდილად ჩამოშორება და საიმედო გზაზედ დადგომა. ამას ერთგვარი მოქალაქეობრივი გამბედაობა სჭირია და ხასიათის სიმტკიცე. ასეთს ხალხზედ არის ნათქვამი ბრძნული ანდაზა: ვირზედ ჯდომა უფრო ადვილია, ვიდრე ვირიდან ჩამოხტომაო.

## 2. სტალინის ახალი რევოლიუციური ცდა.

სტალინის უკანასკნელმა ექსპერიმენტმა სასოფლო მეურნეობის მიმართ ფრიად დიდი მნიშვნელობის ცვლილებები შეიტანა საბჭოთა რესპუბლიკებში და კერძოდ საქართველოს სინამდვილეში. ეს ამ უკანასკნელი ზამთრის ამბავია — ასი მილიონი სოფლის მეურნეთა კერძო საკუთრების ნიადაგიდან გადარეკა და კოლექტიურ მეურნეობაში ჩადენა. მარტამდე ის სწარმოებდა დიდის რიხითა და ზეიმით. თითქოს კიდევაც შესძლო კომუნისტურმა პარტიამ ამ მასსის დიდი უმრავლესობის კოლხოზებში მოთავსება სულ სამიოდე თვის მანძილზედ. მსოფლიო ისტორიაში მრავალს სოციალურ ექსპერიმენტს ჰქონია ადგილი და მათ შორის მრავალს გაბედულს რევოლიუციონურ ექსპერიმენტს. მაგრამ ისტორიას არ ახსოვს მეორე ამ ზომის ექსპერიმენტი. ჯუღაშვილმა გადააჭარბა ყველა სხვა უტოპისტებსა და თვით ძია ილიჩსაც. ლენინმა დიდს რუსეთში კოლექტიური წარმოების ბოლოდ პატარა ოაზისები შექმნა მან ქარხნები ჩამოართვა პატრონებსა და ის სოციალისტურ ნიადაგზედ დააყენა. შემდეგ აქაც უკან დაიხია რამოდენიმედ და ის ნეპით შეფერა. ჯუღაშვილმა კი ეს არ იკმარა და სასოფლო მეურნეობის დაუსრულებელ ზღვას ცეცხლი წაუკიდა. მართალია ცეცხლით მან ეს კერძო საკუთრების ზღვა ვერ დააშრო და მარტში უკვე უკან დაიხია და ძალდატანებით სასოფლო მეურნეობის გასოციალისტებას თავი დაანება, მაგრამ ამ უდიდესი რევოლიუციური ექსპერიმენტის თაოსანის სახელი მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინც დაიმკვიდრა და თვით ამ ცდამაც საბჭოთა რესპუბლიკებში მნიშვნელოვანი კვალიც დასტოვა—ეკონომიური, პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური.

არ არის საფიქრებელი, რომ სტალინი დარწმუნებული ყოფილიყო ამ უსაზღვრო სამყაროს, ასე ადვილად გარდაქმნაში. ეს მეტად უიმედო სიბრიყვე იქნებოდა. უფრო საფიქრებელია, რომ ამ მძიმე დოსტაქრული ოპერაციით ის შედარებით უფრო ნაკლებ მიზნებს ისახავდა და ეს მისი გეზი მხოლოდ ტაქტიკური მანიოვრი იყო. კომუნისტური ბატონობის წლები ამრავლებდა მის წინააღმდეგ ძალებს ყველა წრეში. ქვეყანა ეკონომიურად ღატაკდებოდა დღითი დღე და ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელი გახდა კომუნისტური პოლიტიკის ფარგლებში. თვით კომუნისტურ პარტიაში გაჩნდა მეტად მწვავე ხასიათის შინა პარტიული ბრძოლა. ასეთი ვითარება საფრთხეს უმზადებდა კომუნისტური პარტიის პოლიტიკურს ბატონობას. საჭირო იყო დროებით მაინც შეჩერება კომუნისტური პარტიის გავლენის დაცემისა და მოწინააღმდეგე ძალების დროებით მაინც დაშინება და ალაგმვა თუ ასეთი იყო სტალინის განზრახვა, მან უთუოდ მიზანს მიაღწია. მემარცხენე ოპოზიციის გეგმას, ტროცკიზმს—კიდევ შორს გასცილდა და მთელი სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციას შეუდგა. ორიოდე თვის მუშაობა იყო საჭირო, რომ თვით ეს მემარცხენე ოპოზიცია აყაყანებულიყო: დავიხიოთ უკან, თორემ პური ჩვენი არსებობისა გვესპობა, უფსკრულს უახლოვდებით და მთელი საბჭოთა სისტემა საფრთხეში ვარდებაო. ამით მან ალაგმა დროებით ეს მემარცხენე ოპოზიცია. მეორეს მხრივ მან ათასობით დახვრიტა და გადაასახლა უფრო შეჭლებული გლეხობა, კულაკები, რომელნიც მემარჯვენე აზრების ერთად ერთ მტკიცე დასაყრდნობს წარმოადგენდენ სრულიად გაღატაკებულს ქვეყანაში.

მარტის შემდეგ სტალინმა ამ ზომად ტეროორისტული პოლიტიკის სადავეები მცირედ მიუშვა, შეარბილა და ტეროორით დაშინებულიეს წრე, დამფრთხალი და უარესის შიშით შეპყრობილი დროებით გააჩუმა. ამ რიგად ტაქტიკური მოსაზრებით მან ორი კურდღელი დაიჭირა. მემარცხენე ოპოზიციაც დაშინა და მემარჯვენეც.

მაგრამ ყოველივე ეს მეტად მოკლე მანძილისაა. ის ცხოვრების ზედაპირზედ ახდენს კომუნისტურ პარტიისათვის სასურველ შთაბეჭდილებას, ხოლო ცხოვრების სიღრმეში ასეთს გაუმჯობესებას ვერ ჰქმნის და კიდევაც მნიშვნელოვნად აზიანებს მას. ამ დიდმა ექსპერიმენტმა ახალი და დიდი ოდვევა შეიტანა ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებაში და ძველს ჭირს ახალი მიუმატა. ყოველივე ეს დასასრულისაკენ მიაქანებს სწრაფის ნაბიჯით საბჭოთა სისტემას და მის კომუნისტურ სამოთხეს.

ოდესღაც ბოლშევიკები მარქსისტულ ეკონომიურ მატერიალიზმზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლოცულობდნენ და იმ აზრს იცავდნენ, რომ სოციალურს ცხოვრებაში ეკონომიკა არის საძირკველი, ხოლო პოლიტიკა და სხ. საზოგადოებრივი მოვლენანი მისი ზედ ნაშენი. ეს კარგი ხანია დაივიწყეს მათ და ქვეყნის ეკონომიკა მათი პარტიის დეკრეტების ზედ-ნაშენათ მიიჩნიეს, მაგრამ ეკონომიური ცხოვრების კანონები ამით მაინც არ შ-ცვლილა. ისმიდის თავისი გზით და საბჭოთა რუსეთს ან სრულს კატასტროფამდე მიიყვანს ან და კაპიტალისტურ ქვეყნების ჭიშკარზედ მირეკავს და მასკისერზედ დაუსის ან იუნგის მაგვარ კომბინაციას შეადგამს.

## 2. გლეხთა კავშირები საქართველოში.

ეს კავშირები სრულიად ახალი და ფრიად საყურადღებო მოვლენაა ჩვენს ეროვნულს სინამდვილეში. ის ცნობები, რომელიც ჩვენ გვაქვს ამ საგანზედ, არ არის საკმარისი დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, თურა მდენად ფართე ხასიათი მიიღო ამ საქმემ და რამდენად სწრაფად ვითარდება ის. ხოლო ეს ცნობები საკმარისად გვიმეღავნებს ამ ახალ შეკავშირებათა ბუნებასა და მიდრეკილებას. ჩვენ ერთი წლის წინეთ გვქონდა ამის შესახებ მოკლე ცნობები. გვეკითხებოდენ ჩვენს აზრს ამ კავშირებს შესახებ. ამასთანავე გვთხოვდნენ გარკვეულად გვეცნობებინა ჩვენი პოზიცია უმთავრეს პოლიტიკურ-სოციალურს კითხვებზედ. სჩანდა, რომ მათ იჯვები ჰქონდათ — ხომ არ გადაუხვიეთ ეროვნულ-დემოკრატიულს გზას და მარჯვნით წაველითან და მთ ლათ ხომ არ ავითქვიფეთ სოციალისტურს ფრონტში. შემდეგ მათ «სამშობლოს» პლატფორმა გაუცვნიათ და ამ მხრივ სრულს კმაყოფილებას გვითვლიან. მაგრამ თავის ამბავზედ კვლავ ჩვენს შეხედულებას მოითხოვენ და ახდილს, საჯაროს.

ამ საქმის თაოსნები ასე გკიხასიათებენ თავის ახალს შეკავშირებას და მის მიზნებს: ისინი არ გამოდიან რთული პროგრამით. როგორც სჩანს ამ შეკავშირებასაც არ სთვლიან ისინი ისე მუდმივ ორგანიზაციათ, როგორც არის მაგალითად პარტია. ყოველს ნემთხვევაში ერთ ასეთს ვადათმი ჩნეულია მშრომელ მეურნეთა მიწაზედ სრული საკუთრების უფლებისაღდგენა, კომუნისტური პარტიის უხილავი ტეროორისაგან განთავისუფლება და სხ. სოციალისტურმა და კომუნისტურმა პოლიტიკამ გაანადგურა საოფლო მეურნეობა და თავს უშველეთო.

ჩვენ არ ვიცით, შეიძლება ასეთი მარტივი ფორმულები უფრო შეეფერება ქართველი ერის ეხლანდელს განწყობილებას. მასში მოიპოვება ის, რაც უმთავრესი მტკივნეულობისაა და ის გამოთქმულია სავსებით ახდილად და გაშიშვლებულად. მაგრამ იყო თუ არა საჭირო ამისათვის დაარსება ახალი შეკავშირებისა?

ამ საგანზედ ასეთს ახსნას ვპოვებთ: ერის ყველა წრეები ძალზედ დაუძლურა ამ საშინელმა რეჟიმმა. ამის შემდეგ ბოლშეეიკური პოლიტი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კის მთელი სიმძიმე სოფლის მეურნეობას დააწვება. სოფელი უკვე გაერკვა ამაში, ის პასივობიდან გამოდის და თავდაცვისთვის ემზადება. ეს სტიქიურს ხასიათს ღებულობს და მისი მომწყვდევა არ მოხერხდება პარტიულს ორგანიზაციაში, მით უმეტეს ეხლანდელს პირობებში. ეს სტიქიონი ერთის წესით და რიგით ვერ დაირაზმება. სად როგორ მოხერხდება, ისე მოეწყობა, ხოლო ბრძოლის ლოზუნგები ექნებათ მათ საერთოო. ესახალი მოძრაობა ეროვნულ-დემოკრატიულ აზრებს ეყრდნობაო გვითხლიან, და როდესაც ნორმალურ ცხოვრებას დავიწყებთ ყოველივე ეს თქვენი პარტიის კალაპოტს მიაგნებსო. ამ ჟამად კი მისი მასში მოთავსება შეუძლებელია და მასთან ახალს საფრთხეს შეუქმნის თქვენი პარტიის იმ ნაწილს, რომელიც საკმაოდ ცნობილნი არიან, როგორც ასეთები. ამასთანავე ასეთი დაკავშირება ძველს ორგანიზაციებთან უდიდეს საფრთხეში ჩააგდებს სოფლად დარჩენილს და სხვებზედ უარეს ყოფაში ჩავარდნილს თავად-აზნაურობას, რომლის წინააღმდეგ ყოველთვის ეძებენ მიზეზს და ამის გამო ყოველივეს მას ახვევენ თავზედ, რაც კი მათ ბუნდოვანად და გაურკვევლად მოეჩვენებათო. დაე მტრის რისხვა სავსებით დაატყდეს იმ უძირო ზღვას, რომელსაც დაეყრდნობა გლეხთა კავშირი — გლეხობას, სოფელსო. საშიშროებაც ნაკლებია იქ, ხოლო ძალა და შემძლეობა გაცილებით მეტიო.

ძველ ორგანიზაციების დაზოგვაში გამონაკლისს მხოლოდ სოციალისტური პარტიებისათვის აკეთებენ: ამათგან ვინც გადმოდის ჩვენთან, პირველს წყებაში ვიყოლიებთ, დეე მათ გამოისყიდონ ის დანაშაული, რომელიც მიუძღვით ჩვენსა და მთელი ერის წინაშეო.

ყოველივე ამის მიხედვით უკვე საკმაოდ ნათლად სჩანს, რომ ეს ახალი «გლეხთა კავშირი» ფრიად თავისებური ბუნებისაა და ის არაფრით ჰგავს წინედ სხვა და სხვა დროსა და ქვეყანაში ამ სახელწოდებით არსებულ კავშირებს. წინედ ის უმთავრესად უმიწა-წყლო ხალხის შეკავშირება იყო, მსხვილ მფლობელთა წინააღმდეგ მემარცხენე აზრები ამოძრავებდა ამ კავშირებს და მემარცხენე ელემენტები მეთაურობდენ მას. ეს ჩვენი გლეხთა კავშირი კი უფრო ზომიერსა და მემარჯვენე წრეებს ეყრდნობა და მფარველობს, ხოლო სოციალისტების წინააღმდეგ ბრძოლა მიზნათ აქვს დასახული. მემამულეთა წრე ჩვენში აღარ არსებობს კაცგა ხანია, მაგრამ კიდევ არსებობს ის წრე, რომელიც წინად მამულის პატრონი იყო და ამასთანავე პრივილეგიური წოდება. გლეხთა კავშირი არამც თუ არ უპირდაპირდება მათ და არ ებრძვის, არამედ კიდევაც უფრთხილდება მათ და ნოგავს მათ ძალებს. ასევე იმ პოლიტიკურ წრეებს, რომელთაც დიდი მსხვერპლი გაიღეს მიმ ეინარე ბრძოლებში. მაშასადამე აქ არაარის სხვა წრეებისადმი დაპირდაპირება, ერთ ვარი კლასიური სულისკვეთების მიდრეკილება, არამედ ეროვნული კოოპერაცია. წინეთ ვინც მეტი მსხვერპლი გაიღო იმან ეხლა შეისვენოს და სხვების მაგიერობას იკისრებს ის წრე, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მელიც სხვებზედ უფრო შენახულია და ძლიერიც.

ვიმეორებ, ჩვენ არა გვაქვს საკმარისი ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდენად ფართე ხასიათისაა ეს შეჯგუფება. თუ ასეთი აზრები უკვე ფეხმოდგმულია მშრომელ მეურნეთა მოწინავე წრეში, ჩვენ სრულის რწმენით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება უკვე სავსებით აღწევს თავს უიმედო პრიმიტივობის მდგომარეობას.

ჩვენი დამოკიდებულება ამ კავშირისადმი, რასაკვირველია, იქნება სრულიად თანამგრძნობი. თუ ის მართლაც სტიქიური მოძრაობის გამოძახილია, ის რასაკვირველია, ვერ მოემწყვდევა სავსებით ჩვენი ორგანიზაციის ჩარჩოებში. მაგრამ ჩვენი იდეიური მიმართულების კალაპოტს იგი არ უნდა გადასცდეს თორემ ან ვილად დაეშვება ანტისახელმწიფოებრივ დაღმართზე.

ხოლო როდესაც ეს შეკავშირება ნორმალური ცხოვრების პირობებს მიუახლოვდება, ჩვენ არ ვიქნებით მისი ამ სახით დატოვების მომხრე, რადგან მისი გადაგვარება კლასიურ დაჯგუფებად შესაძლებელი იქნება. ხოლო ასეთს დაჯგუფებას პოლიტიკურს ცხოვრებაში ჩვენ არ ვიზიარებთ, სულ ერთია ეყრდნობა ის მცირე რიცხოვანს, თუ მრავალრიცხოვან კლასს. სახელმწიფო საერთო ორგანიზაციაა მთელი ხალხისა და სახელმწიფოებრივი პარტიაც ამავე საფუძველზედ შენდება. ხოლო ის თავს უყრის ერთფეროვან ელემენტებს, მაგრამ ერთფეროვანს არა ხელობით, ან ქონებრივი მდგომარეობით, არამედ სახელმწიფოებრივი და სოციალური ცხოვრების სისტემით, მისი შეგნებითა და დაფასებით.

### 3. «გლეხების რეაქცია».

აქამომდე ნ. ჟორდანიას არც ერთი ვარაუდი და წინასწარმეტყველება არ გაუმართლებია ცხოვრებას, მაგრამ ეხლა ვგონებ მართლდება ერთი. ეს არის «გლეხების რეაქციის» ამბავი, რომელიც ნ. ჟორდანიამ გვა უწყა ჯერ კიდევ 1918 წ. მართალია ეს რეაქცია ასე არ ჰქონდა წარმოდგენილი. ის ჰფიქრობდა, რომ «საქართველოში რესპუბლიკას და რევოლიუციას შესაძლებელია მოელოდეს შიგნიდან ერთად ერთი საფრთხე გლეხებისაგან. ამ საფრთხის ნიშნები უკვე არის...» მაშინ უთუოდ ნაკლებად იყო «ამ საფრთხის» ნიშნები», მაგრამ ეხლა უთუოდ არის. მაგრამ არც ეს საფრთხე და რეაქცია მიდის იმ გზით, როგორც ნ. ჟორდანია ჰფიქრობს. ის არც რესპუბლიკას იღებს მიზანში, არც რევოლიუციის მრავალს მონაპოვარს — თავისუფლებას, თანასწორობას. არამედ მიზანში იღებს მხოლოდ სოციალისტურ პოლიტიკას, იმ პოლიტიკას, რომელიც აუწერელ ბედნიერებას ჰპირდებოდა ამ გლეხობას და აუწერელი უბედურება კი მიანიჭა. ეს «რეაქცია» გვერდს უვლის სხვა წრეებს, ის მათ კიდევაც მფარველობს, რო

ეროვნული ბიბლიოთეკა



გორც ამ სოციალისტური პოლიტიკისაგან მასზედ მეტად დაზიანებულს და ანგარიშის გასასწორებლად სწორედ ამ სოციალისტურ ჭიშკართან მიდის—აბა ერთი გადავთვალოთ რას მპირდებოდი და რა შემამთხვიეო?

შესაძლოა ასეთი ანგარიშების გასწორებას გაცილებით მეტი უფლებრივი და ზნეობრივი საფუძვლები ჰქონდეს, ვიდრე ათასს სხვას, რომელსაც წინედ ჰქონდა ადგილი, მაგრამ სახელმწიფოებრივი პარტია აქაც იმ პოზიციაზედ უნდა იდგეს, როგორც იყო წინეთ. როდესაც ბოლშევიკურ-მენშევიკური დემაგოგიით დამთვრალი ხალხი ვითომდა აგრარულ რევოლიუციას ახდენდა და ნამდვილად კი იმავე ქართველ ხალხს აწიოკებდა, ჩვენი პარტია მთელი თავისი შესაძლებლობით წინაღუდგებოდა ასეთს რბევას. ეხლა მდგომარეობა იცვლება—ეს ხალხი მენშევიკურ ბოლშევიკური დემაგოგიით მოტყვილებული, გაძარცული და დარბეული, პირს იბრუნებს იმათკენ, ვინც მას ეს საქმე შეამთხვია. მდგომარეობა დადათ არის შებრუნებული და როლებიც გამოცვლილი, ხოლო სახელმწიფოებრივი პარტიის პოზიცია ისეთივე რჩება, როგორიც იყო წინეთ. ის უნდა იყოს დარაჯათ, რომ ეს ანგარიშები ნამეტნავად შორს არ წავიდეს, რომ მით არ იქნეს შეტანილი ჩვენს ეროვნულს ცხოვრებაში ზედმეტი გაბორბოტება, ღვარძლი და შურისძიების გრძნობები. რაც მოხდა, მოხდა. ძველის გამოსწორება აღარ შეიძლება, ხოლო ახალი ცხოვრება, თავისუფალი და მშვიდობიანი, მხოლოდ მშვიდობიანი და ზომიერი სულისკვეთებით დამყარდება. ეს ასე ხდებოდა და ხდება ყველგან დიდს ერებში და მით უმეტეს მცირერიცხოვანი და ისტორიიდან განაწამები ერი ამ გზას ვერ გადა სცდება. თუ რამ დიდი და ღირებული შექმნილა ხალხთა განვითარებისის ტორიის მანძილზედ, ეს ყოველთვის მშვიდობიანი და ზომიერი პოლიტიკის გზებით და არა უკიდურესი აზრებით, თუ შეურიგებელი ბრძოლითა და რბევით.

მით უმეტეს, როდესაც არც იქნება ასეთი უკიდურესობის საჭიროება. «გლეხთა რეაქციის» გამომქღავნება საკმარისი იქნება, რომ ჩირგვებს მიაშურონ სოციალისტურ აზრებს მერჩენილმა პოლიტიკოსებმა, როგორც ფრინველებმა ქარიშხალის ამოვარდნის წინ. ხოლო ამ სოროებიდან რომ გამოვლენ სულ სხვა ამინდი იქნება, სულ სხვა ვითარება და მათი განწყობილებაც საკმაოდ გადაჯალისებული იქნება. ეს პოლიტიკურად დასაჭურისებული ხალხი ზომიერსა და მშვიდობიანს დემოკრატიულ წყობას ძველებურად ვეღარ აუმხედრდება.

ალ. ასათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი განმარტება.

«ბრძოლის ხმის» მეხუთე ნომერი თითქმის სავსებით შეუწირავს ჩვენს ორგანოსთან კამათს. ჩვეულებისამებრ ის პრინციპიულ საკითხებზედ პოლემიკით იწყება დაპიროვნული ლინძღვა-გინებითა დაცილისწამებით თავდება. ასეთი ხასიათის იყო ამ გაზეთის წერილები კერძოდ ჩემი პიროვნების შესახებ. ამ საგანზედ მე უკვე გაუგზავნე «ბრძოლის ხმას» განმარტება და მისგან ისეთი პასუხი მივიღე, რომელიც ჰგულისხმობდა, რომ ეს განმარტება დაიბეჭდებოდა. შესაძლოა ის შემდეგი ნომრისათვის გადაიდვა. ხოლო თუ მისი დაბეჭ, და საზოგადოთ არის უარყოფილი და, იქნებ სენის სასამართლოს ერთი უკანასკნელი დადგენილების იმედით, მეურჩევ «ბრძოლის ხმას» ეს საკითხი უფრო დაკვირვებით შეისწავლოს და სასამართლოს ამ დადგენილებას ტყვილა ნუ დაემყარება. ვინაიდან ჯერ ერთი ის არის სასამართლოს ერთი და კერძო დადგენილება და არა კანონი და მეორეს მხრივ ის არ შეეხება პრესის შემწეობით ჩადენილ ცილისწამებათა ყველა კატეგორიებს. მე კიდევ დაუცდი «ბრძოლის ხმის» შემდეგს ნომერს და იქაც თუ არ დაიბეჭდა ჩემს მიერ გაგზავნილი განმარტება, მე სხვა გზებს გამოვნახავ, რომ «ბრძოლის ხმის» მკითხველის ყურამდე მივიტანო მთელი სიმართლე ამ საგანზედ. ნაწილობრივ, ჩვენი მკითხველისათვის ამას ჩვენ მოვახდენთ ქვემორე განმარტებით:

«ბრძოლის ხმა» ეკამათება «სამშობლოს» მენშევიკური მთავრობის მიერ გამოზიდულ ქონების შესახებ და სწერს: «რა იყო დატვირთული ამ განძით, ქისა, სკივრი თუ გემი—არა სჩანს. ამ ამბის ჩვენ დიდი არაფერი ვიცით, ისე კი მეტად გვაინტერესებს ვიცოდეთ. მადლობა ღმერთს ამ საქმის სპეცი გვყავს და იმედი გვაქვს ის მოგვაწვდის უტყუარს ცნობებს. ეს სპეცია თვით ბ. ასათიანი. ბოლშევიკების შემოსვლისთანავე მან მიიღო დავალება გამოაკვლიოს რა განძი წაიღო მთავრობამ საქართველოდან და მოხსენება რევკომს წარუდგინოს! ბ. ასათიანმა ამ მიზნით შემოიარა საქართველო, შეკრიბა შესაფერი ცნობები, ალბად საკმარისად გაამართლა ახალი ბატონების პოლიტიკური ნდობა».

«ბრძოლის ხმის» ასეთი განცხადება უთუოდ არ ამქღავნებს მის ჩემდამი კეთილს განწყობილებას, მაგრამ მე ეს არ დამიშლის ხელს შევამჩნიო და აღვნიშნო მისი სტრიქონების უშუალო გულწრფელობით აღბეჭდილი კილო, რომელიც სამწუხაროდ ფრიად იშვიათი მოვლენაა ამ გაზეთის ფურცლებზედ.

მენშევიკური პარტიისა და მთავრობის ორგანო გულწრფელად აღიარებს, რომ მან არა უწყის რა იმის შესახებ თუ რა «ოქრო ვერცხლით დატვირთული» წამოვიდა მთავრობა საქართველოდან და რა იყო დატვირთული ამ განძით—ქისა, სკივრი თუ გემი. სამაგიეროთ მთავრობის ოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციოზს სრული და უტყუარი ცნობები ჰქონია იმის შესაძებ თუ რას აკეთებდა საქართველოში დარჩენილი ალ. ასათიანი და ვისი დავალებით, რა კუთხეში და რა არეში მოგზაურობდა.

რასაკვირველია, მთავრობის ოფიციოზისათვის პირველის ცოდნა უფრო სავალდებულო იყო, ვიდრე მეორესი, და ისიც უკუღმა შებრუნებულად, მაგრამ არც ეს არის საბოლოოდ გამოუსწორებელი საქმე. გემის თუ სკივრის ამბავის გამორკვევის გზებსაც უჩვენებ «ბრძოლის ხმის» რედაქციას, როგორც «სპეცი» და იმის ამბავსაც მოვახსენებ თუ როგორ გავხდი ამ საქმის «სპეცი».

სრული ჭეშმარიტებაა, რომ ამ გამოზიდულ ქონების აღრიცხვას და რევიზიას შეუდექი მე ბოლშევიკების შემოსევის ხანაში, მაგრამ ეს იყო იმ დროს, როდესაც მთავრობა და დამფუძნებელი კრება ჯერ კიდევ ქუთაისში იყვენ და, რასაკვირველია, არა სოვნარკომის დავალებით, არამედ დამფუძნებელი კრების რწმუნებითა და დავალებით. მე გახლდით ერთად ერთი რწმუნებული დამფუძნებელი კრების იმ პოლიტიკური კომისიისა, რომელიც შექმნა დამფუძნებელმა კრებამ თბილისის დატოვების შემდეგ, მთავრობის ყოველგვარი კონტროლისათვის. ამ კომისიას მენშევიკთა ერთ ერთი ლიდერი თავმჯდომარეობდა, ხოლო ამ ქონების რევიზიის საკითხში შემდეგ კიდევ ფრაქციათა წარმომადგენლებიც ღებულობდენ მონაწილეობას და აქ კიდევ მენშევიკთა ორი ლიდერთაგანი იმყოფებოდენ. ამ ორ განოთა დავალებით და მათივე გეგმით სწარმოებდა ეს საქმე, ხოლო ფაქტიურად მის შესრულებაში არა ერთი და ორი კიდევ სხვა პასუხისმგებელი პირი ღებულობდა მონაწილეობას და ყველანი მენშევიკური მთავრობისა და პარტიის ნდობით აღჭურვილნი და საპასუხისმგებელო პოსტებზედ დანიშნულნი.

ამ რთული საქმის დასრულება არ მოხერხდა ბათუმის ევაკუაციის მოხდენამდე. დროც მცირე იყო ფრიად და ვისაც ქონების გამოზიდვა ჰქონდა დაკისრებული, მათი ძებნაც სინემატოგრაფიული რბენა-გაკიდებით გაიხდებოდა. ამ საქმის დასრულება გადაწყდა ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ და არა ჩემს მიერ, არამედ დამფ. კრების ზემოდ მოხსენებული ორ განოების მიერ. მათის დავალებით მე საგანგებოდ დავრჩი ბათუმში თითქმის სამი კვირა. რასაკვირველია იყო რისკი, რომ ყველა ეს მასალები ბოლშევიკებს ჩაუვარდებოდათ ხელში, თუმცა პირველს ხანებში მათ არ ჰქონდათ დაუფლებული ყველა დაწესებულებები და საზოგადოთ ასეთი საქმეებისათვის ნაკლებად სცალოდათ. იმ ორგანოებს, რომლის წარმომადგენელიც მე ვიყავი, იმდენად საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნდათ ამ რევიზიის დასრულების საქმე, რომ ასეთი რისკის წინაშე შეჩერებას მიზანშეწონილად არ სთვლიდენ. უმრავლესობას სასარგებლოდაც მიაჩნდათ უკეთუ ეს მასალები გამომჟღავნდებოდა, მრავალი მოსაზრებებით და, რასა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კვირველია არა ბოლ შევიკების ადმი სიმპატიებით. ეს მუშაობა ბოლოს მივიდა ბოლშევიკების ყურამდე და ამის შემდეგ როგორ მოხდა ის, რომ ალ. ასათიანს არაც თუ არ გადუცია საბჭოთა მმართველობისათვის ეს მასალები, როგორც ამას ჰფიქრობს «ბრძოლის ხმა» და რაც მას უთუოდ ბუნებრივად მიაჩნია თავისიანების მაგალითების მიხედვით, არამედ არც ერთი სტრიქონი ამ მასალებიდან არც ჩემს დამხმარეთაგან ჩავარდნიათ მათ ხელში და ამის გამო არც სადმე გამოქვეყნებულა. ორიოდე მოკლე ცნობა რომ იყო ბოლ შევიკების გაზეთებში გაზიდული ქონების შესახებ, ეს რომ ხაზინის დავთრებიდან უბრალო ამონაწერი იყო, ამის გასაგებად არც რაიმე სპეცობა არის საჭირო. ამ რევიზიის მასალები პირადათ ჩემს ხელში მოვაქციე და ის ბიუჯეტიელია, რიგორც ბოლშევიკების, ისე სხვათათვის და როდესაც ამისი დრო დადგება ეს მასალები გამოყენებულ იქნება საჭიროებისამებრ. მართალია ამ მასალების ასეთი ბედი ძნელად დასაჯერებელი იქნება «ბრძოლის ხმისათვის», როდესაც მისი მეთაურების არამც თუ საბჭოთა ტერიტორიაზედ და საბჭოთა დაწესებულებებში შეკრებილი მასალები, არამედ პარიზის კარებ გამოკეტილ ოთახებში საიდუმლოდ დაწერილი წერილებიც სისტემატიურად უვარდებათ ხელში ბ ლშევიკებს და მათს გაზეთებში იბეჭდება. მაგრამ ეს რომ ამ ზომად დაუჯერებელი ამბავია მენშევიკური ოფიციოზისათვის, ეს ალ. ასათიანის ბრალი არ არის.

ამის შემდეგ იმასაც აღვნიშნავ, რომ სოვნარკომის დავალებით მე არ შემომივლია მთელი საქართველო და არც რომელიმე მისი ნაწილი. ბათუმიდან დაბრუნების შემდეგ მე მუდამ თბილისში გახლდით, ნახევარი დრო თავისუფლად და მეორე ნახევარი კი ციხეში. მართალია საპყრობილედან გაქცევის შემდეგ მე შემოვიარე საქართველოს მრავალი კუთხე, მაგრამ მაშინ საბჭოთა დაწესებულებებში მასალების შეკრების შესაძლებლობა რომ არ მექნებოდა, ეს უთუოდ «ბრძოლის ხმის» მწერლებისთვისაც არ იქნება ძნელად გასაგები.

დასასრულ, მე ჯეროვანის ყურადღებით ვხვდები «ბრძოლის ხმის» განცხადებას, რომ მას მეტად აინტერესებს გამოზიდულ ქონების ბედი და მის გამოსარკვევად ჩემს დახმარებას ეძებს. მე მუდამ მზად ვიქნები ამ გაზეთის ასეთს, სრულიად კანონიერსა და გონივრულის სურვილის დაკმაყოფილებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ ჩემს დახმარებას ასეთი ღვარძლიანი განცხადებებით მოითხოვს.

უცხოეთში ჩამოსვლისთანავე აღვძარი მე ამ ქონების ბედის გამოკვლევის საკითხი სხვა ოლიტიკურ საკითხებთან ერთად. ამის შესახებ მსჯელობამ ერთი თვე გასტანა პოლიტიკურს კომისიაში და «ბრძოლის ხმის» მახლობელ თანამშრომლებში მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელთაც ამ საგანზედ შემდეგი საბოლოო დასკვნა გააკეთეს: გამოზიდული ქონების რევიზია არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რადგან ასეთი რევიზია სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხელს გაუტეხს მთავრობასაო, ხოლო ჩემი აზრი მაშინ და ეხლაც ისეთია, რომ სახელმწიფოებრივ დაწესებულებას კანონ ოლი კი არ ოტეხს სახელს არამედ უკონტროლობა. როგორც სჩანს «ბრძოლის ხმას» შეუცვლია თავისი აზრი ამ საგანზედ და ეს ფრიად სასიამოვნოა. ხოლო «ბრძოლის ხმას» მეტად თავისებურად ჰქონია წარმოდგენილი ასეთი კანტროლის ბუნება და ხასიათი. ის წინადადებას მიძლევს, რომ გადავსცე მას ჩემი მასალები, რომელსაც ის შეადარებს «ოფიციალურ დავთრებთან და ნახავს თ რამდენად პირნათლად შეასრულა ბ. ასათიანმა» ეს საქმე და დავალება. ეს ქონების კანტროლი კი არ იქნებოდა, არამედ ამ ქონების კანტროლისათვის ( ანიშნულ პირის ნამუშევრის კანტროლი. ხოლო ასეთი ჩემი მუშაობის კანტროლის დანიშვნა არავის დაუკისრებია «ბრძოლის ხმისათვის» ეს დამფუძნებელ ი კრების იმ ორგანოს საქმეა, ოომელმაც მე დამნიშნა თავის რწმუნებულად. ალ. ასათიანს არ გამოუზიდავს ეს ქონება, ის მხოლოდ იმათი კანტროლისათვის იყო დანიშნული, ვინც ეს ქონება გამოიტანა და ასეთი კანტროლის განახლების საშუალებას თუ მომიპ ოებს «ბრძოლის ხმა», მე მზად ვიქნები დავაკმაყოფილო ჩვენი სახელმწიფო ინტერესები ამ საგანზედ და კერძოდ მეხშევიკური მთავრობის ოფიციოზის ცნობის მოყვარეობაც. მხოლოდ ასეთი გზით გაიცნობს ეს გაზეთი თუ რა იყო დატვირთული ეროვნული ქონებით—გემი, სკივრი, თუ მხოლოდ პატარა ქისა.

ალ. ასათიანი.

---

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ცენტრალური ბიურო.

პარტიისა და მთელი ერის საყურადღებოდ,

ქართველი ერის თანამედროვე თაობას წილად ხვდა მძიმე, მაგრამ ბედნიერი მოვალეობა: აღდგენისა და განახლებისა საქართველოს მრავალ საუკუნოვან სახელმწი ოებრივ არსებობისა და მისი დაცვისათვის შეუდრეკელი ბრძოლა.

საუკუნის განმავლობაში დახურული «ქართლის ცხოვრება» კვლავ გადიშალა კაცობრიობის წინაშე და მას მიემატა ახალი და ღირსეული ფურცლები ქართველი ერის დაუმარცხებელი ნებისყოფისა თავის ეროვნული არსებობის დაცვისა და განმტკიცებისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამ ახალი ბრძოლის წარმოება ჩვენს ერს უხდება უაღრესად მძიმე პირობებში. მას გარედან ებრძვის უძლიერესი მტერი, რომელიც კი ოდესმე უხილავს თავის მრავალსაუკუნოვან არსებობის მანძილზედ და შიგნიდან ასუსტებს საუკუნოვანი მონობის ყამს წარმოშობილი ზოგიერთი მოვლენანი, ეროვნული სიმტკიცისა და მთლიანობის დამაზიანებელი.

საქართველოს ეროვნული აღორძინების დასაწყისშივე წარმოშობილი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება და შემდეგ პარტია გახდა ის ხერხემალი, რომლის გარშემო ინასკვება საქართველოს წარსული ეროვნული მემკვიდრეობა და სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღდგენის გზაზედ დამდგარი ერის ყველა საღი სახელმწიფოებრივი ზრახვები და მოქმედება. ის გახდა სინტეზათ ჯანსაღი სახელმწიფოებრივობის ყოველგვარ გამოსახულებისა და ამის შემდეგ ამ პარტიის დროებითი შეფერხება და სისუსტე თუ გაცხოველება და სიძლიერე გარდაიქცა ჩვენი ეროვნული მაჯისცემის უტყუარ ბაროომეტრად.

მიუხედავად უაღრესი სიძნელისა, რომელსაც ხვდება 1921 წლის შემდეგ საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლა, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენისა და რუსეთის ახალი ბატონობის დამხობისათვის წარმოებული, ჩვენი ეროვნული ცხოვრების ეს ბა რომეტრი მუდამ მაღლა იწევს და ეროვნულ-დემოკრატიულ კალაპოტში აქცევს გაჯანსაღებული ერის სულისკვეთების ტალღებს. ეს არის უტ ყუარი საბუთი იმისა, რომ საქართველოს სუვერენობის აღდგენისა და მი სი სახელმწიფოებრივი განმტკიცების საქმე თავის მიზანს მიაღწევს მიუხე დავათ ყოველგვარი დროებით მარცხისა და დაბრკოლებისა.

ასეთი ვითარება თავის=თავად უქმნის მძიმე კრიზისს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. ეს არ არის ის განუკურნავი კრიზისი, რომელიც შეემთხვა სხვა პარტიებს, რომელთა იდეოლოგია საბოლოოდ გააშიშვლა ცხოვრების მსვლელობამ და მათი პოლიტიკის უაღრესად მავნე შედეგები კი მთელს ერს გაუმეღვნა და შეაგნებინა. ეროვულ-დემოკრატიული პოლიტიკის ყველა დასკვნები ამ ცხოვრების მსვლელობამ უნაკლულოდ და ამტკიცა და დაადასტურა. ხოლო ამ პარტიის კრიზისი მდგომარეობს იმაში, რომ მას არ ყოფნის ძალები იმ დიდი სტიქიონის სახელმძღვანელოდ, რომელიც წარმოიშვა 1921 წლის შემდეგ და რომელმაც ეროვნულ-დემოკრატიულ კალაპოტს მიაშურა. ამ რიგად ეს არის კრიზისი არა მხოლოდ ამ პარტიისა, არამედ მთლიანად ქართველი ერის ყველა სახელმწიფოებრივი ძალებისა. ყველა ეს წრეები უნდა ამოუდგნენ გვერდში საქართვნლოს ერთად ერთს სახელმწიფოებრივ პარტიას და გაამაგრონ ის ახალი ძალებით. ამას მოითხოვს ქართველი ერის ეხლანდელი განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესები და ამასვე გვიკარნახებენ ჩვენი სახელმწიფოებრივი განვითარების მუდმივი ამოცანები. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ამ პარტიის გარეშე რაიმე სერიოზულ სახელმწიფოებრივ დაჯგუფებასარ ჰგუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ობს ჩვენი ცხოვრების სინამდვილე და დროა საბოლოოდ დავაღწიოთ თავი პრიმიტიულ პოლიტიკის გზებს, როდესაც თვითეული ასპარეზზედ გამოსული პირი და ჯგუფი ყოველივეს თავიდან იწყებს და ცხოვრების გულში ღრმად ჩაჭრილ მიმდინარეობებს გვერდს უხვევს ან სცდილობს ეს დიდი ნაკადული თავის კიწრო კალაპოტში მოამწყვდიოს.

რევოლიუციურ ფსიხოზისაგან გამოფხიზლებული მასა სტოვებს ანტისახელმწიფოებრივ სულისკვეთებას და მშვიდობიან დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ ნიადაგს უბრუნდება. ამ დიდი ეროვნული შებრუნების ჯეროვანად მოვლასა და პატრონობას დიდი და მრავალფეროვანი მუშაობა სჭირია. ჩვენი პარტია მას ემსახურება ყველავ კიდევ მეტის სიმტკიცითა და იმედიანობით. მაგრამ მან დიდი მსხვერპლი გაიღო საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლებში. მას ახალი ძალები მიემატა და ერის მასიური თანაგრძნობა, მაგრამ უძიროა წაქცეული სახელმწიფოებრივობისა და დაშლილი და ქონებრივად გაღატაკებული ცხოვრების აღდგენისა და განმტკიცების საჭიროებანი.

ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა კვლავ მოაგონებს ერის ყველა საღ ძალებს მათს მოვალეობას ამ დიდი ეროვნული საქმის მიმართ და მოუწოდებს მტკიცედ შემოკრებას ეროვ-დემ. პარტიის გარშემო, საქართველოს სახელმწიფოებრივი ყოფის აღსადგენად და განსამტკიცებლად, ვინაიდან საჭიროა ყველა ხედავდეს და ყველას ახსოვდეს საკუთარი მამულიშვილური მოვალეობა და პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე.

პარიზი. 1930 წლის მაისის 26.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის სენტრალური ბიურო და პარიზის ორგანიზაცია მწუხარებით აუწყებს პარტიის წევრთა და თანამემამულეთ, პარტიის წევრის

## გივი ღამბაშიძის

ტრაგიკულ სიკვდილს და უღრმეს თანაგრძნობას უცხადებს მის დამწუხრებულ მშობლებს და ოჯახის წევრთ.

სარედაქციო კოლეგია.

*Le gérant : LACAILLE* *Imprimerie A. DUFOUR.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 5 თრანკი